ქუთაისი კრიზისის ზღვართან A3

სპეცოპერაცია თუ პროვოკაცია? A2

"საოჯახო ტოტო" B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 2 თებერვალი, 2004 წელი. №26 (575) | ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## მოსკოვი მიხეილ სააკაშვილის მოლოდინში

მოსკოვში ჭკვიანი ხალხი ამტკიცებს, რომ რუსული ოფიციოზის ძუნწი კომენტარები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის მოლოდინითაა გამოწვეული.

A2

### ეკონომიკა

## „ჯეოსელის" აბონენტებს სიახლეები ელოდება

"ჯეოსელი" საქართველოში მოღვაწეობის 8 წლის შედეგებს აჯამებს. მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელმა", რომელიც ჩვენს ქვეყანაში პირველად 1996 წლის შემოდგომაზე შემოვიდა, საკუთარი არსებობის განმავლობაში 77.707 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიცია განახორციელა.

A4

### უცხოეთი

## ირანელმა დეპუტატებმა პარლამენტი დატოვეს

გუშინ, სულ მცირე, 108 ირანელმა დეპუტატმა გააკეთა განცხადება პარლამენტის დატოვების თაობაზე, - იუწყება ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "ირნა". ირანის პარლამენტში სულ 290 დეპუტატია.

A5

### საზოგადოება

## ვითხოვთ ხელფასს და წამალს!

სამი თვის დაუფინანსებლობის გამო, აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. მიუღებელი ხელფასები ექიმებს, რომელთაც ავადმყოფისთვის ფულის გამორთმევა სასტიკად ეკრძალებათ, დანაშაულისკენ უბიძგებს. მედიკამენტების დეფიციტმა კი კლინიკის ადმინისტრაცია მათხოვრად გადააქცია. რთულ ვითარებას ბოლო არ უჩანს. ჯანდაცვის სფეროში ეროვნულ იდეას დისკრედიტაციის საფრთხე დაემუქრა.

A6

### სამართალი

## აფხაზებმა ქართველებს მორიგი ეგზეკუცია ჩაუტარეს

გუშინ აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონის ქართულ სოფლებში მორიგი ეგზეკუცია ჩაატარა. გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში სეპარატისტთა 40-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება, აფხაზური მილიციის უფროსის აბესალომ საბეკიას ხელმძღვანელობით შევიდა.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | თოვლი |
| ქუთაისი | 9 | წვიმა |
| ბათუმი | 8 | თოვლი |
| სოხუმი | 7 | თოვლი |
| ფოთი | 8 | წვიმა |
| თელავი | 7 | თოვლი |
| ზუგდიდი | 9 | წვიმა |
| გორი | 4 | თოვლი |
| ახმეტა | 7 | თოვლი |
| ჭიათურა | 6 | თოვლი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.6105 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8195 |
| რუბლი | 0.0741 |

# ახალი საკონსტიტუციო მოდელი - ორი დღე განხილვამდე

*ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გრძელდება მუშაობა ახალ საკონსტიტუციო მოდელზე. გუშინ, დახურულ კარს მიღმა ერთმანეთს შეხვდნენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. საუბრის დასრულებისთანავე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ოთხშაბათს გაიმართება "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" გამაერთიანებელი ყრილობა, რომელმაც საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი უნდა განიხილოს. ამის შემდეგ, შესაბამისი კანონპროექტი დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება.*

გიორგი ასანიშვილი

მიხეილ სააკაშვილი უარყოფს ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ხელმძღვანელ "სამეულში" განხეთქილებაა და ნინო ბურჯანაძე განზე გადგომას აპირებს. **"მეც, ზურაბიც და ნინოც კოორდინირებულები ვართ და აბსოლუტურად ერთნაირად ვმოქმედებთ,"** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოსულმა პრეზიდენტმა.

კულუარული ინფორმაციით, მოარული ჭორების გამო, თავად ნინო ბურჯანაძეც ძალზე უკმაყოფილო იყო და გუშინწინ, გვიან ღამით, სააკაშვილთან და ჟვანიასთან შეხვედრის დროს "განუმარტა" მათ, რომ გუნდის მიტოვება აზრადაც არ მოსვლია.

მთელ ამ მითქმა-მოთქმას კი საფუძველი დაუდო გაურკვევლობამ იმის თაობაზე, ახალი საკონსტიტუციო მოდელით როგორი იქნება პარლამენტის ფუნქციები და ექნება თუ არა პრეზიდენტს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის უფლება.

ამასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის პოზიცია ასეთია: **"ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. უნდა მოიძებნოს ცივილიზებული, ევროპული მოდელი და საქართველოს პარლამენტი ყველა იმ უფლებით აღიჭურვოს, როგორიც საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის და სხვა განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს აქვთ."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ეპიზოდები ქართული რეალობიდან

რეპორტაჟი (ფოტო)კომენტარებით




# ერაყში ამერიკელთა ახალი კონტინგენტი მიემგზავრება

ლევან ღირსიაშვილი

აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლ ვოლფოვიცი მორიგი ვიზიტით ერაყს ეწვია. ვაშინგტონის წარმომადგენელთა განცხადებით, ვოლფოვიცის ჩასვლა ერთადერთ მიზანს ემსახურება. მან ადგილზე უნდა შეაფასოს შექმნილი რთული ვითარება, რათა მომზადდეს ნაიდაგი ახალი ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გასაგზავნად. ვოლფოვიცის ჩასვლას ერაყელ პარტიზანთა იერიშის ახალი ტალღა დაემთხვა. ამჯერად მათ სამიზნედ ქურთული პარტიები იქცნენ.

### ერბილი: ასამდე მოკლული ქურთი

ჯერჯერობით დაუდგენელმა ერაყელმა კამიკაძეებმა ქურთულ ქალაქ ერბილში მასშტაბური ტერაქტები განახორციელეს. გუშინ ქურთები თავიანთ ნაციონალურ დღესასწაულს "ეიდ ალ-ადჰას" აღნიშნავდნენ და ქურთულ პარტიების ოფისებში საზეიმო განწყობა სუფევდა. ორი აფეთქება თითქმის ერთდროულად მოხდა.

ერთმა კამიკაძემ ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ოფისში აიფეთქა თავი, ხოლო მეორემ კი ქურთისტანის პატრიოტული კავშირის ოფისში. ორივე პარტიაში მსხვერპლის რიცხვმა შესაძლოა, ასს გადააჭარბოს. რამდენიმე ასეული ადამიანი მძიმედ არის დაჭრილი. როგორც ცნობილია, ქურთები სადამის წინააღმდეგ ომში აშშ-ის მოკავშირეები იყვნენ.

### ვოლფოვიცი ვითარებას ადგილზე შეაფასებს

ეს პოლ ვოლფოვიცის მესამე ერაყული ვოიაჟია. ბოლოს ის ბაღდადში ოქტომბერში იყო, როდესაც მასზე თავდასხმა განხორციელდა. ერაყელმა პარტიზანმა სასტუმრო "ალ-რაშიდს" ნაღმტყორცნი ესროლა. ჭურვი სწორედ იმ ფასადს მოხვდა, სადაც ვოლფოვიცის ოთახი იყო განთავსებული. თავდაცვის მინისტრის მოადგილე ამ თავდასხმას გადაურჩა. ამჟამად კი ის ერაყში მესამედ ჩავიდა. ვოლფოვიცის მისიას ერაყიდან 130 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის სამშობლოში დაბრუნება და ახალი – 105 ათას ჯარისკაციანი კონტინგენტის ერაყში ჩაყვანა წარმოადგენს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს აშშ-ის არმიის ყველაზე მასშტაბური გადასროლის ოპერაცია იქნება.

ერაყული კამპანიის ხერხემალს – მე-4 ქვეით დივიზიას კი, ამჟამად გერმანიაში დისლოცირებული პირველი ქვეითი დივიზია შეცვლის. როგორც ცნობილია, მე-4 დივიზია ბაღდადის ჩრდილოეთში – ე.წ. სუნიტურ სამკუთხედშია განთავსებული და მის უშუალო ამოცანას პარტიზანებთან დაუნდობელი ომის წარმოება წარმოადგენს. ამდენად ნათელია, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირველი დივიზიის ჯარისკაცებს, რომლებიც ერაყში ახლო მომავალში დაიკავებენ პოზიციებს.

გაგრძელება A5 გვერდზე




# ევროსაბჭო საარჩევნო კოდექსის დახვეწას ითხოვს

ევროსაბჭო საქართველოსგან კვლავ საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას ითხოვს. მით უფრო, რომ მაქსიმალურად დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის მიღება - ეს ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომელიც საქართველომ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს აიღო.

როგორც ევროსაბჭოს ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ კი, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ 28 მარტის ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად, სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარდეს. ისინი ცალსახად აღნიშნავენ, რომ აუცილებელია იმ დარღვევების აღმოფხვრა, რაც საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობისას გამოვლინდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩინოსანთა ძალადობა უჩინოთა მიმართ

თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს უკანონოდ თავისუფლების აღკვეთასა და დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის მცდელობაში ადანაშაულებენ

სოფიკო ჩხაიძე

3 ოქტომბერს, საღამოს, ხაშურის მახლობლად, სოფელ ოსიაურთან ავტოავარია მოხდა. ერთმანეთს ორი მანქანა – "მერსედეს-ბენცი" და ჯიპი "ნისან-პატრული" შეეჯახა. პირველს გალიდან ლტოლვილი, დროებით თბილისში მცხოვრები ლევან ხუფენია მართავდა, მეორეს – თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, ვინმე დოხნაძე. თვით მანქანაც – ჯიპი, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი აღმოჩნდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა ქვეყნის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს

ეთერ მამულაშვილი

*სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულებების გარდა, საქართველოს, უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში საწევროს გადაუხდელობის გამო, 50 მილიონ ლარზე მეტი დავალიანება დაუგროვდა. ფინანსთა სამინისტრო კი ყოველ წელიწადს მიმდინარე და ძველი ვალების გასასტუმრებლად ბიუჯეტიდან სულ უფრო და უფრო ნაკლებ თანხას გამოყოფს. საწევროს გადაუხდელობა, არაპრესტიჟულობის გარდა, ქვეყანას ამ ორგანიზაციებიდან გამორიცხვის რეალურ საშიშროებას უქმნის. ალბათ, განმარტება ზედმეტია, თუ რას ნიშნავს საქართველოს დათხოვნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან, გაერო-ს ბავშვთა ფონდიდან, ევროსაბჭოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან. არადა, ამის რეალური საფრთხე ქვეყანას ემუქრება. საქართველოს, სულ ცოტა, უკანასკნელი ორი წელია, ამ სტრუქტურებისთვის საწევრო არ გადაუხდია.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ანონსი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## მოსკოვი მიხეილ სააკაშვილის მოლოდინში

მოსკოვში ჭკვიანი ხალხი ამტკიცებს, რომ რუსული ოფიციოზის ძუნწი კომენტარები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის მოლოდინითაა გამოწვეული. ეს მოვლენა რომ ახალი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისათვისაც გვერდი ვერ აუქციათ, ამაზე მეტყველებს რუსულ გავლენიან გაზეთ "იზვესტიაში" კოლინ პაუელის მოსკოვში ვიზიტის წინ დაბეჭდილი გამაფრთხილებელი სტატია, სადაც მეტად კატეგორიული აქცენტებია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. ორი პრეზიდენტის შეხვედრის წინ რუსი პოლიტოლოგების ტრადიციულად კრიტიკული ტონის სადღაც გაქრა.

საფიქრებელია, რომ საქართველოს თემაზე პროპაგანდისტული სიფრთხილის დირექტივა კრემლიდან მოდის. ახლა ასეა საჭირო და ახლა ასე ქრის და კვრავს კრემლი. რუსეთის სახელმწიფო ტელეარხმა გვერდი აუარა საქართველოს ახალი პრეზიდენტის მიერ გერმანიაში გაკეთებულ განცხადებას პუტინისათვის მეგობრობის ხელის გაწვდენაზე.

რითი აიხსნება რუსეთის ოფიციოზის სიფრთხილე? ამ შეკითხვაზე თავისებური პასუხი გაეცა რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს კონსტანტინ კოსაჩოვს: **"არ შეიძლება, კრემლმა სათანადოდ არ დააფასოს საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რაც ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგისა და კორუფციასთან შეურიგებელი ბრძოლისთვის კეთდება. რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება აუცილებლად ითანამშრომლებს საქართველოს ახალ ლიდერებთან თუნდაც იმიტომ, რომ მათ საერთო პოზიციები აქვთ ზოგად პრობლემებში, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ გაუგებრობები აღარ გვექნება. მოსკოვი ამისათვის მზადაა. პუტინის პოზიცია და კრემლის კომენტარები მხოლოდ კონსტრუქციული დიალოგის შემდეგ დაფიქსირდება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე წინაღობები არსებობს."**

კრემლის პოლიტტექნოლოგები იმას მღერიან, რასაც უკვეთავს პუტინის ადმინისტრაცია, სადაც, ვოლოშინის წასვლის შემდეგ, სულ სხვა გუნდი მოვიდა და სხვა, ჩეკისტური გეგმები ხორციელდება. ეკეტერინ ჩეკისტებით გაივსო პარლამენტის ორივე პალატაც. თუ მოსკოველი პოლიტოლოგების მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს დავუჯერებთ, **"რუსეთ-აშშ ცივი ომის ტრადიციების გაგრძელებაში საქართველო ნამდვილ სიტყვას იტყვის, რაც ამიერკავკასიიდან რუსეთის საბოლოოდ წასვლით დაგვირგვინდება."** თუმცა, პოლიტოლოგ სერგეი მარკოვის აზრით, პუტინი ასეთ არაპოპულარულ ნაბიჯებს არ გადადგამს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წინ საარჩევნო კამპანიაა. **"თუ საქართველოსთან საუბარში მოსკოვმა ტონი არ გამკაცრა, მალე მივიღებთ ომს სამხრეთ საზღვრებთან - აფხაზეთსა და აჭარაში. აბაშიძეს, უკეთეს შემთხვევაში, შევარდნაძის ბედი ელოდება. სააკაშვილი, ჟირინოვსკი, როგორც და მისთანები ხელისუფლებაში ხიფათისა და მარცხის გარეშე არ მოდიან."**

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ. კორ. მოსკოვში*

## აჭარაში ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვენ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის დათხოვნის და 28 მარტს ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციათა მოძრაობა „ნათელი მომავლისთვის" ინიციატივით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. „ნათელი მომავლისთვის" ერთ-ერთი წარმომადგენლის გიორგი ვაშაკიძის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლო ორგანოს ვადამდელი არჩევნების დანიშვნასთან ერთად, რეგიონში მოქმედი საგანგებო მდგომარეობის გაუქმებასაც ითხოვენ. ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით, 3 ათასამდე ხელმოწერა უკვე შეგროვებულია. იმ შემთხვევაში, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები 50 ათასი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებენ, ისინი აჭარის პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევლენ და 2001 წლის 7 ივნისს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების გაუქმებას მოითხოვენ, რის საფუძველზეც აჭარის მეთაურის პოსტი შეიქმნა. არასამთავრობო ორგანიზაციები ამ თანამდებობის შემოღებას უკანონოდ მიიჩნევენ. **მედია-ნიუსი**

## სპეცოპერაცია თუ პროვოკაცია?

გუშინ, დაახლოებით ოთხ საათზე წაღვერი-ბორჯომის მონაკვეთზე ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარის ვლადიმერ ვარძელაშვილის კუთვნილ ავტომანქანას, რომელსაც თავად ვარძელაშვილი მართავდა, 07 მარკის ავტომობილი გადაუდგა. მანქანიდან გადმოსულმა სამმა შეიარაღებულმა პირმა ვარძელაშვილს მანქანიდან გადმოსვლა მოსთხოვა. ავტომანქანაში ვარძელაშვილთან ერთად რამდენიმე ჟურნალისტიც ვიმყოფებოდით. შეიარაღებულ ადამიანებს კარგა ხანს არ დაუსახელებიათ, თუ რა უწყების წარმომადგენლები იყვნენ და ავტომატმომარჯვებულები მხოლოდ ერთს გვიმეორებდნენ, ხმა არ ამოიღოთ და მანქანიდან გადმოდითო. მერე, როცა გაარკვიეს, რომ ვარძელაშვილს ჟურნალისტებიც ვახლდით, თქვეს ბორჯომის პოლიციის თანამშრომლები ვართ და სპეცოპერაციას ვატარებთო. ერთ-ერთი ბორჯომის პოლიციის უფროსი გია კაჭარავა აღმოჩნდა.

**" ჩემთვის მიუღებელია პოლიციელმა ასეთი გზით გადაგიღობოს გზა და იარაღი ზედ მკერდზე დაგადოს. მე შემეძლო მანქანა არც გამეჩერებინა, რადგან ისინი დამნაშავეებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე პოლიციელებს. საბუთი არ უჩვენებიათ და არც სიტყვიერად უთქვამთ, რომ პოლიციიდან იყვნენ და მხოლოდ ჟურნალისტების დანახვის შემდეგ განაცხადეს, რომ დეპუტატ თამაზ გელაშვილის გატაცებასთან დაკავშირებულ სპეცოპერაციას ატარებდნენ. მე კი მიმაჩნია, რომ ეს გამიზნული ნაბიჯი იყო. ჩვენს დეპარტამენტს რამდენიმე წლის წინათ პრეზიდენტმა დაბა ბაკურიანში მდებარე ახალგაზრდული კომპლექსი "მზიური ველი" გადასცა და მას შემდეგ ამ ცენტრის ყოფილი დირექტორი ამირან ტყეშელაშვილი და კოლექტივის წევრები გვედავებიან. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით, "მზიური ველის" ცენტრში პრესკონფერენცია გავმართეთ. თბილისისკენ მომავლებს, წაღვერის ცენტრში მოულოდნელად ჯერ მოდავე მხარის წარმომადგენელი თამაზ კურტანიძე და მისი მეგობარი გიგა გელაშვილი გვხვდებიან და "მზიური ველთან" დაკავშირებით გვესაუბრებიან, შემდეგ შეიარაღებული პირები ვითომ სხვა მოტივით იარაღს მადებენ მკერდზე. ამას უფრო დაშინების სახე ქონდა, ვიდრე სპეცოპერაციის, "** – განაცხადა ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვლადიმერ ვარძელაშვილმა, რომელიც პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

*თამარ დვალი*

## ტალიატომ ალიევი: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი საქართველოსთვის ბევრს ნიშნავს"

აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში ტალიატომ ალიევი უკრაინულ პრესასთან ინტერვიუში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საკითხს შეეხო. **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, პროექტის მიხედვით, ამ წლის ბოლოს უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც ექსპლუატაციაში მიეცემა. აპრილამდე მილსადენის ტექნოლოგიური ნავთობით უზრუნველყოფა იგეგმება და მაისიდან აზერბაიჯანი საკუთარი ნავთობის ტრანსპორტირებას ახალი მილსადენით დაიწყებს,"** – განაცხადა მან. რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენის პროექტს, როგორც ალიევმა განაცხადა, იგი მზადების დამასრულებელ სტადიაში იმყოფება და ამ წლის ბოლოს მშენებლობის დაწყება იგეგმება. ექსპლუატაცია 2006 წლიდან არის მოსალოდნელი. **"ორივე პროექტის შემთხვევაში ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს"**, - აცხადებს ელჩი.

ჟურნალისტი შეეხო მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტების საკითხს და ელჩს შეკითხვა დაუსვა, თუ რამდენად მისაღებია მისთვის სააკაშვილის დღევანდელი დამოკიდებულება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და გაზსადენის მიმართ. ბატონმა ტალიატომმა აღნიშნა, რომ **"როდესაც სააკაშვილი აზერბაიჯანს ეწვია ალიევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მან დარწმუნებით აღნიშნა, რომ მილსადენების საკითხში არანაირი ცვლილებები არ მოხდებოდა. დღეისათვის საქმე გვიჩვენებს, რომ ეს ნამდვილად ასეა."**

ტალიატომ ალიევმა დადებითად შეაფასა სააკაშვილის პოზიცია ნავთობსადენთან დაკავშირებით და ამის მთავარ მოტივად შემდეგი დაასახელა: **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი საქართველოსთვის ბევრს ნიშნავს, ისევე, როგორც გაზსადენი. ადვილი მისახვედრია, რომ მათი საშუალებით ხალხის ცხოვრება შეიძლება მკვეთრად შეცვალო, ქვეყანაში გადაწყდეს უამრავი სოციალ-ეკონომიკური საკითხები და ა.შ. საქართველო ამით დაინტერესებულია, ამიტომ ეჭვიც არ მეპარება, რომ ყველაფერი წესისამებრ მოხდება."**

## ირანი და საქართველო ტრანსპორტის სფეროში ითანამშრომლებენ

"რია ნოვოსტის" ცნობით, ირანის და საქართველოს ოფიციალურმა მხარეებმა სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. საქართველოს ვიცე-პრემიერი იური ჩიხრაძე ამჟამად ირანის დედაქალაქში იმყოფება. ირანის ტრანსპორტისა და გზების მინისტრმა აზმად ხორრამმა და იური ჩიხრაძემ განაცხადეს, რომ სახმელეთო და საავიაციო კავშირების გასაფართოებლად ახალი ხელშეკრულების მომზადება აუცილებელია. მათ ასევე ხაზი გაუსვეს ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მუშაობის აქტივიზაციის აუცილებლობას და საექსპორტო კომიტეტის ფორმირებას ტრანსპორტის სფეროში ირან-საქართველოს თანამშრომლობის წინსვლისათვის.

## მილიარდი დოლარი „საუკუნის პროექტისათვის"

ხვალ ბაქოში ხელი მოეწერება ხელშეკრულებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის 1 მილიარდი დოლარის გამოყოფის თაობაზე. ამ თანხის გამოყოფა საერთაშორისო საბანკო სინდიკატმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მიიღო.

როგორც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას აცნობეს, შესაბამის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის ცერემონიალში მონაწილეობას საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის წარმომადგენლები მიიღებენ.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ამჟამად სინდიკატში 15 ბანკი შედის, მათ შორის - იაპონური, ფრანგული, ჰოლანდიური, ამერიკული, შოტლანდიური და სხვ. თითოეული ეს ბანკი აღნიშნული პროექტისათვის, საშუალოდ, 65 მილიონ დოლარს გამოყოფს.

## გამგებელი თაღლითობისთვის დააკავეს

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურამ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ხაიშის გამგებელი როდენ ფილფანი და ამავე სოფლის მკვიდრი გივი ჭკადუა დააკავა. მათ ბრალი თაღლითობაში ედებათ. მხარის პროკურორის მამუკა ცაავას განმარტებით, ფილფანს და ჭკადუას თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო, 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. სოფელ ხაიშის კუთვნილ მიწაზე მილსადენი გადის. "BP"-მ სოფლის 42 მოსახლისათვის საერთო საკომპენსაციო თანხა 629.000 ლარი გამოყო. გამგებელმა ფილფანმა და თანასოფლელების მიერ შექმნილი კომისიის თავმჯდომარემ ჭკადუამ საერთო თანხიდან 100.000 ლარზე მეტი მიითვისეს," - აცხადებს ქვემო ქართლის მხარის პროკურორი. მისი თქმით, პროკურატურამ ათეულობით მსგავსი საქმის გამოძიება დაიწყო და უახლოეს პერიოდში მხილებულნი და დასჯილნი იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც "BP"-ს მიერ გადმორიცხულ თანხებს თაღლითურად ითვისებდნენ და ამით მილსადენის მშენებლობას ხელს უშლიდნენ. **ინტერ-პრესი**

## საკადრო ცვლილებები კახეთის რეგიონის ძალოვან სტრუქტურებში

შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, საკადრო ცვლილებების განხორციელება კახეთის რეგიონის ძალოვან სტრუქტურაშიც დაიწყო. შს კახეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა ზურაბ ტუშურმა ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და თელავის რაიონებში პოლიციის ახალი უფროსები წარადგინა. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის ყოფილი შეფი თემურ ანჯაფარიძე საგარეჯოს პოლიციას უხელმძღვანელებს, სიღნაღის რაიონში გოჩა ღვედაშვილი, დედოფლისწყაროში კი გელა ჯალიაშვილი დაინიშნა. შს თელავის რაიონის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ბადურ გულიაშვილი დაამტკიცეს. კახეთის მთავარი სამმართველოს კრიმინალურ პოლიციას კი გოჩა ნაზღაიძე ჩაუდგა სათავეში. საკადრო ცვლილებები სასამართლო ხელისუფლებაში და უშიშროების სამსახურში, ჯერჯერობით, არ შეინიშნება. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს ავიაბაზარს კიდევ ერთი უცხოური ავიაკომპანია დაემატება

საქართველოს ავიაბაზარს კიდევ ერთი უცხოური ავიაკომპანია დაემატება. როგორც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ განაცხადა, **"საქართველოში რეისების შესრულების შესახებ მოლაპარაკებებს მართავს ჰოლანდიური ავიაკომპანია KLM. თებერვალში ფრენებზე ნებართვის მისაღებად ავიაკომპანიის წარმომადგენლები თბილისში ჩამოვლენ. თუ შეთანხმება შედგა, შემდეგ ეტაპზე რეისების დაწყების თარიღზე მოვილაპარაკებთ. სხვა ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით ჯერ არ არსებობს"**. ჰოლანდიურ ავიაკომპანიას საქართველოს ბაზარზე მუშაობის სამართლებრივი ბაზა აქვს. 1997 წელს ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. თბილისი-ამსტერდამის მიმართულებით რეისებს წლების განმავლობაში ქართული ავიაკომპანია "აირზენა" ასრულებდა. როგორც "აირზენას" თანამშრომლებმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნეს, "აირზენაში" არ არსებობს ასეთი იფორმაცია. **"ჩვენ ამ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ,"** - აცხადებენ ისინი.

ამჟამად საქართველოს ავიაბაზარზე 21 ავიაკომპანია მოქმედებს, მათ შორის 7 - ქართული. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ცნობით, საქართველო 26 რეგულარული ავიარეისით არის დაკავშირებული მსოფლიოს 17 ქვეყანასთან. 2003 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 60-70 არარეგულარული (ჩარტერული) რეისი სრულდებოდა.

*დიანა ჩაჩუა*

## "ბრიტანეთის ავიახაზები" საქართველოში რეისებს გაზაფხულიდან განაახლებს

ავიაკომპანია "ბრიტანეთის ავიახაზების" რეისები საქართველოში გაზაფხულიდან განახლდება. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის ზურაბ ჭანკოტაძის თქმით, თბილისი-ლონდონის მიმართულებით ფრენა, სავარაუდოდ, 29 მარტის შემდეგ აღდგება. ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლაზე სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც შარშან, 17 სექტემბერს მოეწერა ხელი, პარლამენტში რატიფიცირებული ჯერ არ არის, ბრიტანული ავიაკომპანიისთვის რეისების შესრულებაზე ნებართვის გაცემა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას 22 იანვარს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ სპეციალური ბრძანებულებით დაავალა. ბრიტანულ და თურქულ ავიაკომპანიებს საქართველოში რეგულარული რეისების შესრულება ჯერ კიდევ შარშან, აპრილში საქართველოს პარლამენტმა აუკრძალა. ამის მიზეზი დიდი ოდენობით საგადასახადო დავალიანებები და რიგი სამართლებრივი პრობლემები იყო. "ბრიტანეთის ავიახაზების" რეისების შესრულებას ორ ქვეყანას შორის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების არარსებობა აფერხებდა. ამჟამად ეს მოთხოვნა უკვე შესრულებულია. როგორც გაირკვა, ბრიტანეთის მხარემ საგადასახადო დავალიანებაც გაისტუმრა, თუმცა ეს დავალიანება ყოფილა არა რამდენიმე მილიონი, როგორც ამას საგადასახადო დეპარტამენტი აცხადებდა, არამედ - 120 ათასი ლარი. თურქულ ავიაკომპანიასთან პრობლემები ჯერ კიდევ შარშან მოგვარდა და მისი რეისები საქართველოში შარშანვე, 15 სექტემბრიდან აღდგა. **მედია-ნიუსი**

## ლევან მამალაძის ოჯახის წევრებს დაკითხვაზე იბარებენ



*ძებნილი.*

"თბილისის პროკურატურა ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის დედის, ვერა პაიჭაძის დაკითხვას მისი შვილის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით არ აპირებს", - ასეთ კომენტარს აკეთებენ სამართალდამცველები, რომლებმაც გუშინწინ, გვიან საღამოს, ლევან მამალაძის დედას უწყება გაუგზავნეს და პროკურატურაში დასაკითხად დაიბარეს. ვერა პაიჭაზე პროკურატურაში არ გამოცხადებულა.

"საკითხი, რომლის გარკვევასაც პროკურატურა ცდილობს, უშუალოდ ვერა პაიჭაძეს ეხება, თუმცა გარკვეულწილად იგი ლევან მამალაძესაც უკავშირდება", - ასეთია სამართალდამცველთა ინფორმაცია, თუმცა, რა საკითხის ირგვლივ უნდა დაკითხონ ლევან მამალაძის დედა, პროკურატურაში არ აკონკრეტებენ. პროკურორის განმარტებით, დაკითხვის დეტალების გახმაურება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია. ის ლევან მამალაძის ადგილ-სამყოფელის გარკვევას არც უკავშირდება.

როგორც თბილისის პროკურატურაში აცხადებენ, მათი მხრიდან მამალაძეების ოჯახზე არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.

"შაბათს, გამომძიებელმა მამალაძეების ოჯახში მხოლოდ უწყება დატოვა, რასაც ოჯახის წევრების გაღიზიანება მოჰყვა," – აცხადებს ქალაქის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი. თუ ვერა პაიჭაძე პროკურატურაში არ გამოცხადდება, მაშინ გამომძიებელი მზადაა მას ჩვენება მისსავე საცხოვრებელ სახლში ჩამოართვას, - აცხადებენ პროკურატურაში.

შეგახსენებთ, ლევან მამალაძის მიმართ თბილისის პროკურატურაში, ჯერჯერობით, სისხლის სამართლის ერთი საქმეა აღძრული, რომელიც უცხოეთის მოქალაქისგან ქრთამის სახით "ჯიპის" მარკის ავტომანქანის გამოძალვას ეხება. ლევან მამალაძე სწორედ აღნიშნული ბრალდებით იძებნება ინტერპოლის მიერ. თუმცა, პროკურორის თქმით, გამოკვეთილია სამართალდარღვევის რამდენიმე სხვა ფაქტი და არ არის გამორიცხული, რომ მათ საფუძველზე, მამალაძეს სხვა ეპიზოდებშიც წაუყენონ ბრალი. თავად მამალაძის დედა მისი შვილის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს პოლიტიკურ დაკვეთას უწოდებს და აცხადებს, რომ დაკითხვაზე მისვლას და შვილის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას არ აპირებს.

*24 საათი*

### ოფიციოზი

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №36

**2004 წლის 31 იანვარი** **ქ. თბილისი**

### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემიების დანამატების და დახმარების გაცემის შესახებ

"საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით და "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამდე საბიუჯეტო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში დასაქმებული მუშაკებისთვის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პრემიების დანამატებისა და დახმარებების გაცემის მიზნით:

1. ნება დაერთოთ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს დასაქმებული მუშაკებისთვის კანონმდებლობით დადგენილი პრემიების (ჯილდოების), დანამატებისა და დახმარებების გაცემა განახორციელონ "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ამ მიზნით გათვალისწინებული სახსრებიდან.
2. ბრძანებულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №58

**2004 წლის 31 იანვარი** **ქ. თბილისი**

### ზ. გოროზიას, ზ. ნონიკაშვილის, გ. ხომერიკის, დ. გურგენიძის და კ. კვიტაიშვილის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნონ ზაზა გოროზია, ზურაბ ნონიკაშვილი, გიორგი ხომერიკი, დავით გურგენიძე და კარლო კვიტაიშვილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 128-ე მუხლის შესაბამისად.
2. "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 128 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრ ზაზა გოროზიას მიენიჭოს საოლქო საარჩევნო კომისიის 5 (ხუთი) წევრის დანიშვნის უფლებამოსილება.

## გარემოვაჭრეები 1 წლის განმავლობაში ე.წ. საბაზრო გადასახადს არ გადაიხდიან

ქალაქ თბილისში გარევაჭრობის საკითხის მოგვარების მიზნითა და გარემოვაჭრეთა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 1 თებერვლის სპეციალური განკარგულებით, ბაზრების ტერიტორიაზე შესული გარემოვაჭრეები 1 წლით თავისუფლდებიან ბაზრის ტერიტორიაზე არსებული სპეციალური გადასახადისგან. ზემოხსენებულ გადასახადს გარემოვაჭრეთა მაგივრად სახელმწიფო გადაიხდის.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** გაერო-ს უშიშროების საბჭო სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში პროგრესი არ შეინიშნება. იგი მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს. "მოლაპარაკებების პროცესი, რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილებით უნდა დასრულდეს, კონფლიქტში მონაწილე მხარეებისგან დათმობას მოითხოვს", - ნათქვამია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მწვანეთა პარტიის" ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ 28 მარტის ხელახალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ეს ორგანიზაცია პოზიციას ამ დღეებში გამოხატავს. მისი თქმით, "თუ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები არ შევა, ცესკო-ს შემადგენლობის შეცვლის შესახებ საკითხი დღის წესრიგში არ დადგება და ამომრჩეველთა რეალური სიები არ ჩამოყალიბდება, მაშინ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ ექნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, დეპუტატი ჰამლეტ ჭიპაშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს "აღორძინების" დეპუტაციის პარლამენტში დაბრუნება სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის ბოლო შეხვედრაზე "პოლიტიკური ვაჭრობის" საფუძველზე გადაწყდა. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** ცესკო-ში საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების განაცხადების შეტანის ვადა ამოიწურა. ცესკოში განაცხადი 53-მა საარჩევნო სუბიექტმა წარადგინა, რომელთაგან 30 უკვე რეგისტრირებულია. რაც შეეხება საარჩევნო ბლოკებად გაერთიანების ვადებს, განაცხადები ამის თაობაზე პარტიებმა ცესკო-ში 14 თებერვლის ჩათვლით უნდა შეიტანონ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების პროგრამის განხორციელებისთვის უახლოეს წელიწადნახევარში 2.5 მილიონი ევრო უნდა დაიხარჯოს. თანხა ევროკომისიამ გამოყო. დოკუმენტს მისი ათვისების შესახებ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა მიხაილ მაიოროვმა, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა ალანიას პრეზიდენტის აპარატის უფროსმა თეიმურაზ კუსოვმა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა ცხინვალში 31 იანვარს მოაწერეს ხელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს ხანებში შესაძლოა თბილისს ფორმალური მერი ჰყავდეს, რომელსაც პარლამენტი მხოლოდ სტუმრების ხელის ჩამორთმევის უფლებასღა შეუნარჩუნებს, - აცხადებს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ნავაძე, რომელსაც აღნიშნული განცხადების გაკეთების საფუძველს საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში წარდგენილი, "ქალაქ თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებათა პროექტი აძლევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვეყნის მთავრობის დროულად დაკომპლექტების მომხრეა პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, რომელიც სასურველად მიიჩნევს, რომ პარლამენტმა მინისტრების დამტკიცება 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებამდე მოასწროს. წერეთლის განმარტებით, ამჟამად პარლამენტში არც ერთი მინისტრის კანდიდატურა წარდგენილი არ არის, რადგან პრეზიდენტს პარლამენტისთვის კანდიდატურების წარდგენის ვადა, კონსტიტუციის თანახმად, 10 თებერვლამდე აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, საქართველოს პრეზიდენტმა ცესკო-ს ორი ახალი წევრი - დავით გურგენიძე და გიორგი ხომერიკი დანიშნა. მათ შეცვალეს თავის დროზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის მიერ დანიშნული ელზა გულიაშვილი და ლევან სამხარაული, რომლებმაც განცხადებები წევრობის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ კიდევ სამ წევრთან - ზაზა გოროზიასთან, კარლო კვიტაშვილსა და ზურაბ ნონიკაშვილთან ერთად დაწერეს. ეს უკანასკნელნი პრეზიდენტმა ცესკო-ს წევრებად ხელმეორედ დანიშნა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ახალი საკონსტიტუციო მოდელი - ორი დღე განხილვამდე

პირველი გვერდიდან

როგორც ირკვევა, იმ პროექტის მიხედვით, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, პრეზიდენტს პარლამენტის უსაფუძვლოდ დათხოვნის უფლება არ გააჩნია. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ დაამტკიცებს ბიუჯეტს (სამჯერ) და მთავრობის შემადგენლობას, აგრეთვე, "კრიზისული სიტუაციების" დროს.

კულუარული ინფორმაციით, ეს უკანასკნელი ფორმულირება ნინო ბურჯანაძისთვის მიუღებელია და მოითხოვს, რომ ზოგადი ჩანაწერის ნაცვლად, ახალ კონსტიტუციაში აუცილებლად დაკონკრეტდეს, თუ რა იგულისხმება "კრიზისულ სიტუაციაში".

საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო მთავრობაზე განახორციელებს საპარლამენტო კონტროლს, დაამტკიცებს მინისტრებს, მიიღებს კანონებს და ა.შ. გარდა ამისა, პარლამენტს ნებისმიერ მომენტში შეეძლება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება. "კრიზისულ სიტუაციებში" კი უკვე პრეზიდენტის გადასაწყვეტი იქნება, ვის დაითხოვს - მთავრობას თუ პარლამენტს.

მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, **"კოლექტიური პასუხიმგებლობის მატარებელ მთავრობას პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ყოველდღიური მმართველი იქნება, თავად პრეზიდენტი კი ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს და მთავრობას გააკონტროლებს."**



*ტრიუმვირატი ერთიანობას ინარჩუნებს და საკონსტიტუციო ცვლილებებზე შეთანხმებას აპირებს.*

ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის - პრეზიდენტის გადაყენების მექანიზმი საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგაც იგივე იქნება, ანუ იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის უფლება ექნება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედს, რის შემდეგაც საკითხი დასკვნისთვის უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცემა. თუ ისინი პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას დაადასტურებენ, პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის კენჭისყრაზე დაყენების შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი დაუჭერს.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ახალი საკონსტიტუციო მოდელი პარლამენტმა რაც შეიძლება მალე უნდა მიიღოს. **"მინდა, რომ პროცესი დაჩქარდეს და პრემიერ-მინისტრი დამტკიცდეს, რათა მან, მთავრობის გუნდთან ერთად, სასწრაფოდ აიღოს პასუხისმგებლობა უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარებაზე,"** - აცხადებს პრეზიდენტი.

იგი პირობას იძლევა, რომ მთავრობა საინტერესო სახეებით დაკომპლექტდება. **"ეს იქნება პოლიტიკური ლიდერების გუნდი, რომლის თითოეულ წევრსაც საზოგადოების მხარდაჭერა ექნება,"** - აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი. მინისტრთა კანდიდატურების ვინაობის გამჟღავნებისგან პრეზიდენტი, ჯერჯერობით, თავს იკავებს და ამბობს, რომ ამას საკონსტიტუციო მოდელის დამტკიცების შემდეგ გააკეთებს. სააკაშვილი მხოლოდ ორ პიროვნებას ასახელებს, რომლებსაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში დარჩენა გარანტირებული აქვთ: პრეზიდენტის თქმით, პრემიერ-მინისტრი აუცილებლად ზურაბ ჟვანია იქნება, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრი - გიორგი ბარამიძე.


## სს "საქართველოს ელექტროკავშირის" საბურთალოს, დიდუბისა და დიღმის მასივის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

გაუწყებთ, რომ დამთავრდა განბლოკებისა და მოქმედი სატელეფონო სადგურებიდან ახალ ციფრულ სადგურზე ტელეფონების გადასართავად მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ მოგეცემათ შესაძლებლობა, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ისარგებლოთ ყველა სახის საკომუნიკაციო მომსახურებით.

მოქმედი სადგურებიდან ახალ სადგურზე ტელეფონების გადართვის პროცესში მიმდინარე წლის 3 თებერვლიდან მოსალოდნელია ასს-51-სა და 3-იანი ინდექსის ტელეფონების ხარვეზებითა და წუნით მუშაობა; არ არის გამორიცხული მათი 2-3 დღის განმავლობაში გამორთვაც, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.

**პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით სს "საქართველოს ელექტროკავშირის" ადმინისტრაცია**


# ევროსაბჭო საარჩევნო კოდექსის დახვეწას ითხოვს

პირველი გვერდიდან

პირველ რიგში, ეს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებას ეხება. უცხოელი დიპლომატების მოთხოვნით, 28 მარტამდე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიის კომპიუტერიზაცია უნდა უზრუნველყოს და არჩევნების დღეს ამომრჩეველთა დამატებით სიებში შეყვანა არ დაუშვას. ამავე დროს, უნდა გამარტივდეს ხმის მიცემის პროცედურაც.

ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლების ყურადღებას კვლავ საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირების წესზე ამახვილებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ცესკო-ს დაკომპლექტების წესის შეცვლასა და მისი პარიტეტული წესით დაკომპლექტებას ითხოვენ.

ამის მიუხედავად, საეჭვოა, საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესი შეიცვალოს. მით უფრო, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არც შეთანხმება და არც ერთიანი პოლიტიკური ნება დაკომპლექტების წესის შეცვლასთან დაკავშირებით ჯერაც არ არსებობს. თანაც, საქართველოს პარლამენტი ამ ეტაპზე საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისთვის ემზადება და საეჭვოა, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ქართველმა პოლიტიკოსებმა საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის მოიცალონ.

ამავე დროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ დაკომპლექტების წესი ნამდვილად შესაცვლელია. ამის თაობაზე ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ თავად ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი მიუთითებდა, თუმცა მისი აზრით, ცვლილებების განხორციელება ამ ეტაპზე საქართველოს პარლამენტს გაუჭირდება.

რაც შეეხება ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერიზაციის პროცესს, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, იგი პირველი მარტისთვის დასრულდება და ოფიციალური მონაცემები ცესკო-ს ვებგვერდზე დაიდება. ანუ სია აბსოლუტურად გამჭვირვალე იქნება და მის გადამოწმებას ყველა დაინტერესებული პირი – როგორც პოლიტიკური პარტიები, ასევე არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები შეძლებენ.

*24 საათი*

# ქუთაისი კრიზისის ზღვართან

ქუთაისის მერსა და საკრებულოს შორის გადამწყვეტი შერკინება ორ კვირაში გაიმართება

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ორიოდე დღის წინ ქუთაისის საკრებულო არჩეულ მერს, ნუგზარ ფალიანს დაუპირისპირდა და მისი უნდობლობის გამოცხადებისთვის საჭირო პროცედურის განხორციელებას შეუდგა. ამავე დროს, რამდენიმე თვეა, რაც ქალაქის მერს მთავრობა ჰყავს გადაყენებული, ახალი ვიცე-მერების დანიშვნას კი საშველი არა და არ დაადგა. აღნიშნულმა პრობლემებმა ქუთაისის მართველობის პარალიზება გამოიწვია და ქალაქი სერიოზული კრიზისის წინაშე დააყენა. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი პასუხისმგებლობას ნუგზარ ფალიანს აკისრებენ.

ქუთაისის არჩეული მერი ნუგზარ ფალიანი, თავდაპირველად, "მემარჯვენეების" მხარდაჭერით მოვიდა ქალაქის ხელისუფლებაში. მაშინ ბევრს საუბრობდნენ, რომ ქუთაისში თვითმმართველობის არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. აღნიშნულის შესახებ პარლამენტმა სპეციალური საგამოძიებო კომისიაც შექმნა. 2 ნოემბრის არჩევნებზე კი ფალიანი უკვე სახელისუფლებო ბლოკის შტაბს ხელმძღვანელობდა და ხელისუფლების მიერ ქუთაისში ტოტალური გაყალბებისა თუ ათასი უსამართლობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბევრი ითქვა.

ფალიანმა ვერც ქუთაისის მართვაში გამოიჩინა თავი. შექმნილი ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა ქალაქის 2003 წლის ბიუჯეტის ჩავარდნამ. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის, დათო ბენიძის ინფორმაციით 2003 წლის ბიუჯეტი 86 პროცენტით შესრულდა, დანაკლისმა მილიონ 533 000 ლარი შეადგინა. ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ ბიუჯეტს 667 100 ლარი დააკლო, ხოლო ქალაქის მოსაკრებლების სამსახურმა გეგმა 60 პროცენტით შეასრულა, რის გამოც ქალაქის განათლების სფერო 53 პროცენტით დაფინანსდა, ჯანდაცვისა და სოციალური ხარჯები კი - 38 პროცენტით. საკრებულოს წევრთა განცხადებით, ქალაქში ენერგეტიკის, ტრანსპორტის, წყლის და დასუფთავების სამსახურები პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ ქუთაისელები არჩეულ მერს ქალაქში პრაქტიკულად ვერ ხედავენ. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის სოსოს ჭანტურიას განმარტებით, ნუგზარ ფალიანი თავისი კუთვნილი 240 სამუშაო დღიდან 108 დღეს თბილისში, მივლინებებში ატარებს(?!). გასულ წელს მერისა და მისი მოადგილეების მივლინებებში 240 000 ლარია დახარჯული. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, არავინ იცის, აღნიშნული თანხა რაში დაიხარჯა, რადგანაც ხარჯის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები მერიის ბუღალტერიაში ან საერთოდ არ არსებობს, ან არასრულყოფილია.

**"საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნები კრიმინალის ფაქტებს შეიცავს. ამიტომაც აუცილებლად უნდა დადგეს მერის უნდობლობის საკითხი, ხოლო მოკვლეული მასალები პროკურატურაში გადაიგზავნოს, რათა კონკრეტული ჩინოვნიკების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრას. ფალიანი ან უვარგისი მერია, ან შექმნილ ვითარებაზე შეგნებულად ხუჭავდა თვალს. ასეთი მერი ქუთაისს არ სჭირდება. თუკი უახლოეს ხანში საკრებულო არ დააყენებს მერის უნდობლობის საკითხს, მაშინ საკრებულოც უნდა წავიდეს, რადგან ვერც ისინი ამართლებენ ქუთაისელი ამომრჩევლების ნდობას,"** - განაცხადა "დემოკრატიის ხელშემწყობი ცენტრის" ლიდერმა გიგა შუშანიამ. მისივე თქმით, 2000 წელს ქუთაისის მერიას სახელფასო დავალიანება საერთოდ არ გააჩნდა. 2003 წლის ბიუჯეტი მაშინდელთან შედარებით სამი მილიონითაა გაზრდილი. მიუხედავად ამისა, ქუთაისის მთავრობას, ხელფასების გადასახდელად, ბანკებიდან სესხის სახით, დაახლოებით, 2 მილიონამდე ლარის გამოტანა დასჭირდა, თუმცა ვერც ამან უშველა და რამდენიმეთვიანი სახელფასო დავალიანებების დაგროვებას ვერ ასცდა. ერთადერთი დარგი, რომელიც გასულ წელს ნორმალურად დაფინანსდა, გზების შეკეთებაა. არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები ვარაუდობენ, რომ გზების სარემონტო სამუშაოები ისევ ნუგზარ ფალიანის კერძო ფირმებმა განახორციელეს (ნუგზარ ფალიანი, ქუთაისის მერად არჩევამდე, ასფალტის ქარხნისა და საგზაო სარემონტო ფირმის მფლობელი გახლდათ). გზების რემონტი კი იმდენად უხარისხოდ გაკეთდა, რომ მონაკვეთები წელს ისევ გასაახლებელია.

შექმნილი მდგომარეობის შეფასებას გასულ პარასკევს ქუთაისის საკრებულომ სპეციალური სხდომა მიუძღვნა. **"4 თვეა, რაც ქალაქს მთავრობა არ ჰყავს. ვიცე-მერები თავდაპირველად შევარდნაძის არჩევნებით იყვნენ დაკავებულნი, რის გამოც, ორი თვის წინ, გადადგომაზე განცხადებები დააწერინეს. ახლები კი დღემდე არ დაუნიშნავთ. ქალაქი ამათ ხელში კიდევ კარგ დღეშია,"** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას საკრებულოს თავმჯდომარემ დათო ბენიძემ. იგი აღნიშნავს, რომ საკრებულო მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურას იწყებს, რისთვისაც, კანონმდებლობით, ჯერ მთავრობა უნდა გადააყენონ. რადგან ქუთაისის მთავრობა ისედაც გადაყენებულია, საკრებულომ მერს ანგარიშის ჩასაბარებლად ორი კვირის ვადა მისცა. სავარაუდოდ, ნუგზარ ფალიანს უნდობლობას სწორედ მაშინ გამოუცხადებენ. **"ქუთაისის ეკონომიკა პრაქტიკულად დანგრეულია და ძალიან დიდი მცდელობაა საჭირო, რომ თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგეს. ფალიანმა მაქსიმუმ ორ კვირაში 2003 წლის ანგარიში უნდა ჩაგვაბაროს, რის შემდეგადაც, ალბათ, მისი უნდობლობის საკითხს დავაყენებთ... ფალიანი არჩეული მერია, მაგრამ კანონში არის სპეციალური მუხლი, რომ, თუკი მერი დისციპლინარულ გადაცდომას ჩაიდენს, მაშინ საკრებულოს უფლება აქვს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს. ფალიანმა ერთი წლის განმავლობაში ვერც ბიუჯეტი შეასრულა და ვერც სხვა რამ მოახერხა. ამაზე მეტი დისციპლინარული გადაცდომა რა უნდა იყოს?"** - აცხადებს ბენიძე.

ნუგზარ ფალიანი კი არც გადადგომას აპირებს და არც შეუსრულებელ ბიუჯეტზე იღებს პასუხისმგებლობას. მისი განმარტებით, ბიუჯეტის ხარვეზების შესახებ მან მხოლოდ გასული წლის ნოემბერში შეიტყო(?!). თუმცა ამ შემთხვევაში ვერც საკრებულო და მისი თავმჯდომარე გაექცევა პასუხისმგებლობას, რადგანაც აღნიშნული ბიუჯეტი სწორედ მათი დამტკიცებულია.

**"ნოემბერში აღმოვაჩინე, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 12 თვეზე კი არა, 10-11 თვეზე იყო განსაზღვრული. ის პირები, რომლებმაც ცუდი ბიუჯეტი დაგეგმეს, უკვე აღარ არიან სამსახურებში. მერიის მუშაობაში დარღვევები ნამდვილად არის. საკრებულოს მიერ გამოთქმულ შენიშვნებს ღრმად შევისწავლით. ქუთაისში სახელისუფლებო ვაკუუმია. ამიტომაც მთავრობა დროზე უნდა დაკომპლექტდეს. რაც შეეხება ჩემს გადადგომას, ქალაქის მერიც და საკრებულოც, ვადის ამოწურვის შემდეგ, ერთად წავალთ... ეს კიდევ გასარკვევია, საკრებულო რატომ მიცხადებს უნდობლობას. ჩემი გადადგომა რამდენიმე კაცმა კი არა, მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნუგზარ ფალიანმა. ქუთაისის მერის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, კანონით, პრეზიდენტის რწმუნებულსაც შეუძლია. "24 საათი" მისი პოზიციითაც დაინტერესდა. **"ქუთაისის მერიაში რეორგანიზაცია უნდა მოხდეს და გაბერილი შტატები შემცირდეს. ასევე შემცირებას მოითხოვს ვიცე-მერთა რაოდენობაც. რაც შეეხება საკრებულოს, ისინი თავის დროზე უნდა მიმხდარიყვნენ და მთავრობისთვის 11-თვიანი ბიუჯეტი არ უნდა დაემტკიცებინათ... არჩევნებთან დაკავშირებით კი ქუთაისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია. ახლა რომ დავიწყოთ ანგარიშსწორებები, ვინ სად იდგა, მაშინ ქუთაისის მთელი სახელისუფლებო რგოლი "ახლებიდან" მოდიან, მაგრამ ამის გამო ყველას საფლავში ჩავყვეთ და ვკიცხოთ, ცოტა უხერხული იქნება. ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებით კი, უნდა ვნახოთ მიზეზები, თუ რომელმა სამსახურებმა არ შეასრულეს ბიუჯეტი,"** - ასეთია რწმუნებულის პოზიცია.

# მიმართვა ხელისუფლებას

სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზის" მთავარმა საბჭომ მიიღო მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი. მასში ნათქვამია:

**"სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზი" ყურადღებით ადევნებს თვალს საზოგადოებაში მიმდინარე დებატებს, საქართველოს კონსტიტუციის მოსალოდნელი გადასინჯვის შესახებ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის. დარწმუნებულნი ვართ, რომ ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალები დაიცავენ კონსტიტუციის მოთხოვნას და ცვლილებების შესახებ კანონპროექტს გამოაქვეყნებენ საერთო სახალხო განხილვისთვის. სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზი" აუცილებლად ჩაერთვება ამ განხილვაში, ვინაიდან ქვეყნის ძირითად კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიური პოზიციის დაკავება თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია."**

მიმართვას ხელს აწერენ: რამაზ ჩხიკვაძე – "დარბაზის" საპატიო პრეზიდენტი; დათო მაღრაძე – მთავარი საბჭოს თავმჯდომარე; მთავარი საბჭოს წევრები: გიორგი შენგელაია, დავით მუსხელიშვილი, შოთა ნადირაშვილი, დავით უსუფაშვილი, თემურ ნანეიშვილი, ნანა ალექსანდრია, ზურაბ კიკნაძე, ნინო ბურდული, ვახუშტი კოტეტიშვილი, გია ჭანტურია, ვანო კილურაძე.

*24 საათი*


## ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ-იორკი) აცხადებს დამატებითი სტიპენდიების კონკურსს

**hup://www.soros.org/scholar/globalsgp.hupl**

პროგრამის მიზანია საშუალება მისცეს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სადოქტორო ხარისხის (Ph.D) მაძიებლებს მოიპოვონ დამატებითი ფინანსური დახმარება.

პროგრამა დააფინანსებს განმცხადებლებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ დასავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, აზიის, ავსტრალიის და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში.

სტიპენდიაზე განცხადების შემოტანის საშუალება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან სადოქტორო პროგრამაზე (Ph.D).

**განმცხადებლებს სტიპენდიების მოთხოვნა შეუძლიათ შემდეგ შემთხვევებში:**

1. სწავლების გადასახადი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წლიური თანხის 50%.
2. საცხოვრებელი თანხა - განმცხადებლებს, რომლებმაც მოიპოვეს სწავლების თანხა დაფინანსების სხვა წყაროებიდან, უფლება აქვთ მოითხოვონ ცხოვრებისა და ბინის თანხები.
3. სხვადასხვა - განმცხადებლებს, რომლებმაც მოიპოვეს ყველა საჭირო დაფინანსება, გარდა მგზავრობის, წიგნების, ჯანმრთელობის დაზღვევისა, უფლება აქვთ მოითხოვონ დაფინანსება ზემოაღნიშნული პუნქტების დასაფინანსებლად.

პროგრამაში მონაწილეთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 40 წელს განაცხადის შემოტანის დროისათვის.
განაცხადის მიღების ბოლო ვადაა:
აშშ, აზია, ავსტრალია - 2 აპრილი, 2004 წელი
დასავლეთი ევროპა და ახლო აღმოსავლეთი - 4 ივნისი, 2004 წელი

**დაწვრილებითი ინფორმაციისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველო"-ს ოფისს, თბილისი, თ. ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25 04 63.**



## თიბისი ბანკი აცხადებს ვაკანსიას **საკრედიტო ექსპერტის** პოზიციაზე

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

უმაღლესი განათლება ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტერიის ან მათემატიკის განხრით

- საბანკო ან კერძო კომპანიებში მუშაობის გამოცდილება
- ბუღალტერიისა და ფინანსების საწყისების ცოდნა
- მაღალგანვითარებული ანალიტიკური აზროვნების უნარი
- ფინანსური ანალიზის გაკეთების უნარი
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- ორგანიზებული, პრეზენტაბელური და მოტივირებული
- MS საოფისე პროგრამების (Word, Excell) ცოდნა
- ინგლისური ენის ცოდნა

ასაკი: 21-35

წარსადგენი საბუთები:
* თიბისი ბანკის სააპლიკაციო ფორმა; (სააპლიკაციო ფორმის აღება შესაძლებელია თიბისი ბანკის ადამიანთა რესურსების მართვის განყოფილებაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ, 11.
ან თიბისი ბანკის ვებ-გვერდზე: www. tbcbank.com.ge
* 2 ფოტო
* რეზიუმე
* სარეკომენდაციო წერილი (მინ. 2)
* დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები.

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 20 თებერვალი, 18:00სთ, 2004 წ.**

**მიღებული საბუთები აპლიკანტებს აღარ დაუბრუნდებათ!**
**საკონტაქტო პირი**
**მედეა ტაბატაძე**
**ტელ: 253214**

# საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა ქვეყნის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს

პირველი გვერდიდან

ზუსტ ნუსხას, თუ რამდენ საერთაშორისო ორგანიზაციაშია საქართველო ამ დროისათვის გაწევრიანებული, არც ერთი შესაბამისი სტრუქტურა არ ფლობს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო ზედიზედ ძალიან ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანდა. როგორც ამბობენ, საქართველო იმჟამად ასზე მეტი ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა. საერთაშორისო სტრუქტურებისადმი ასეთი გაცხოველებული ლტოლვა იმ მომენტისთვის გასაგები იყო. საქართველოს გაწევრიანება ამა თუ იმ ორგანიზაციაში იმ დროისათვის ქვეყნის დამოუკიდებლობის ხაზგასმა იყო. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მაშინ ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ნაჩქარევად და გარკვეულ უწყებათა ინტერესების დონეზე ხდებოდა. იმავე ექსპერტების თქმით, დღეს ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს ყოფნა მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

არა მარტო საზოგადოებისთვის, ხშირად სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც კი უცნობია ზოგიერთი იმ საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ, რომლის წევრადაც საქართველოს ჯერ კიდევ მოიხსენიებენ. ასე მაგალითად: ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ საქართველო უკვე რამდენიმე წელია ღია ცის ხელშეკრულების საკონსულტაციო კომისიის წევრია, რომლის მიმართაც ქვეყანას 27 ათასი დოლარის დავალიანება გააჩნია. ბევრისთვის არც ის უნდა იყოს ცნობილი, რომ ჩვენ შავი ზღვის ფსკერის მმართველობის ორგანიზაციაშიც ვართ გაწევრიანებული და დღემდე გადაუხდელი საწევრო 14 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. თურმე, საქართველო საერთაშორისო ასტრონომიული კავშირისა და ქალაქ დუბნის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის წევრიც ყოფილა, მათ მიმართ დავალიანება კი 230 ათას დოლარს აღემატება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციები, სადაც ჩვენი ქვეყანა არის გაწევრიანებული, სავარაუდოდ, სამოცამდე უნდა იყოს. სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის მონაცემებით, წლების განმავლობაში საწევროს გადაუხდელობის გამო დაგროვილი დავალიანება ამჟამად თითქმის 27 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ყველაზე ბევრი - თითქმის რვა მილიონი დოლარი საქართველოს გაერო-სი მართებს, ყველაზე ცოტა - 630 დოლარი - კულტურული საკუთრების დაცვის საერთაშორისო ცენტრის. მევალეთა სიაშია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროსაბჭო, ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეუთო, ინტერპოლი, ბისეკი, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია და სხვა.

წლების მანძილზე საწევროს გადაუხდელობის გამო, საქართველოს ამა თუ იმ ორგანიზაციიდან საქართველოს გამორიცხვის საკითხი დღის წესრიგში რამდენჯერმე დამდგარა. უფრო მეტიც - რამდენიმემილიონიანი დავალიანების გამო საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციაში ხმის უფლება გარკვეული დროის მანძილზე შეუჩერეს. ასე მაგალითად, გაერო-ში ჩვენს ქვეყანას ხმის უფლება მხოლოდ მას შემდეგ აღუდგინეს, როცა ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე და ძველი ვალის დაფარვის სათანადო გრაფიკი წარადგინა. ვალის რესტრუქტურიზაციის გრაფიკის თანახმად, საქართველოს მთავრობამ წლიური 20.000 დოლარის გარდა, ყოველთვე ამდენივე ძველი ვალის გასასტუმრებლად უნდა გამოუყოს. ამჟამად ფინანსთა სამინისტრო ვალის დაფარვის ახალ გრაფიკზე მუშაობს. საქმე ეხება იუნესკოს მიმართ დაგროვილ 3-მილიონიან დავალიანებას. გარკვეული პერიოდის მანძილზე ჩვენს ქვეყანას ამ ორგანიზაციაში ხმის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული. საქართველომ იუნესკოში გაწევრიანების შემდეგ საწევრო მხოლოდ ორჯერ – 2001 და 2003 წელს გადაიხადა. საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ცნობით, ამჟამად საქართველოს ხმის უფლება ჩამორთმეული აქვს ჯანდაცვის მსოფლიო, ტელეკომუნიკაციების, სტანდარტიზაციის საერთაშორისო და მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციებში. ოთხივე სტრუქტურის მიმართ დავალიანება, დაახლოებით, 6 მილიონ დოლარს შეადგენს.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საწევროს პირნათლად გადასახდელად ყოველწლიურად საქართველოს მთავრობას საშუალოდ ხუთი მილიონი დოლარი სჭირდება. სხვათა შორის, 90-იანი წლების ბოლოს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტი იყო. 1996, 1997, 1998, 1999 წლებში საწევრო შენატანისთვის საქართველოს მთავრობას ათ მილიონ დოლარს სთხოვდნენ.

აღარაფერს ვამბობთ ძველი ვალის დასაფარად საჭირო ლარებზე, რომლის ოდენობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონით იზრდება. ფინანსთა სამინისტრო კი ბიუჯეტის შესაბამისი მუხლის დასაფინანსებლად უკანასკნელი წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო ცოტა თანხას "იმეტებს". შარშან მოთხოვნილი 10 მილიონის ნაცვლად ბიუჯეტში მხოლოდ 1,5 მილიონი ჩაიდო, თუმცა ფაქტიურმა შესრულებამ 200.000 ლარს ოდნავ გადააჭარბა. ასე იყო შარშანწინაც და იმის წინათაც.

წელსაც, როგორც ფინანსთა სამინისტროში ვარაუდობენ, ამ მიმართულებით ახალ ბიუჯეტში, მაქსიმუმ, ორი-სამი მილიონი ლარის გათვალისწინება მოხდეს. ეს თანხა კი მხოლოდ 2004 წლის საწევრო შენატანს ვერ გაწვდება. ამ ფონზე საეჭვო ხდება გაერო-ს, იუნესკოსა და სხვა კიდევ რამდენიმე ორგანიზაციის მიმართ ნაკისრი ვალდებულების (ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ) შესრულება.

რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობის მართლზომიერებაზე, უკვე კარგა ხანია, დამოუკიდებელი ექსპერტების გარდა, თავად აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ხმამაღლა საუბრობენ. თსუ-ს პროფესორი ეკონომისტი ირაკლი კოვზანაძე ფიქრობს, რომ ახალმა მთავრობამ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხის დროული რევიზია უნდა მოახდინოს, სადაც საქართველო გაწევრიანებულია. **"ძალიან ბევრ ორგანიზაციაში საქართველოს ყოფნა მხოლოდ სიმბოლურია და ქვეყნისთვის, პრაქტიკულად, ბევრი არაფრის მომცემია, საწევრო გადასახადი კი მძიმე ტვირთად აწვება ბიუჯეტს. აშკარაა, რომ 27 მილიონი დოლარის დაფარვის საშუალება ქვეყანას არა აქვს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ ამ ნუსხას დეტალურად უნდა გადახედოს და ზუსტად ჩამოყალიბდეს, რომელ ორგანიზაციაში ყოფნაა მისთვის პრიორიტეტული",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ირაკლი კოვზანაძემ.

გასულ წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამომავლო ურთიერთობის გარკვეული კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც, სხვათა შორის, რიგი საერთაშორისო სტრუქტურებიდან საქართველოს გამოსვლის საკითხსაც ითვალისწინებდა. დეპარტამენტის წარმომადგენელმა უჩა გაბეჩავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **"ეს საკითხი მთავრობის სხდომაზე უნდა გასულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდე ვერ მოხერხდა. ჩვენ მოვითხოვდით, რომ ყველა სახელმწიფო სტრუქტურას ერთად ემსჯელა ამ თემაზე და გადაწყვეტილება ერთობლივად მიეღოთ. ქვეყანამ ცალსახად უნდა გააკეთოს არჩევანი, რომელი ორგანიზაციაა მისთვის პრიორიტეტული. ფაქტია, რომ ამდენი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა საქართველოს არ სჭირდება. შეიძლება, ერთი კონკრეტული დარგის განვითარებისთვის აუცილებელი იყოს ამ თუ იმ ორგანიზაციის წევრობა, მაგრამ ამჟამად საქართველოს იმის რესურსი არა აქვს, რომ ყველა პრიორიტეტად მიიჩნიოს".**

### საქართველოს საწევრო შენატანები საერთაშორისო ორგანიზაციებში

| წლები | მოთხოვნა USD $ | ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა | ფაქტიურად გადახდილი თანხა ლარებში | ფაქტიურად გადახდილი თანხა დოლარებში |
|---|---|---|---|---|
| 1996 | 10 მლნ | 4 100 000 | 4 751 505 | 3 741 343 |
| 1997 | 10 მლნ | 4 100 000<br>1 000 000 (პრეზიდენტის ფონდიდან) | 4 625 245 | 3 557 881 |
| 1998 | 10 მლნ | 5 700 000 | 241 310 | 173 605 |
| 1999 | 10 მლნ | 1 000 000 | 684 881 | 340 737 |
| 2000 | 5 მლნ | 1 000 000<br>330 000-[illegible] | 297 482 | 151 006 |
| 2001 | 4 მლნ | 3 500 000<br>1 821 300-[illegible] | 1 857 330 | 844 241 |
| 2002 | 5 მლნ | 1 500 000 | 69 210 | 31 459 |
| 2003 | 5 მლნ | 1 500 000 | 220 903 | 102 226 |

### საწევრო შენატანების დავალიანება საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი

| ორგანიზაცია | დავალიანება 2003 წლის დეკემბრისათვის (USD) |
|---|---|
| 1 გაერო UN | 7.087.229 |
| 2 იუნესკო UNESCO | 2.993.065 |
| 3 სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO | 1.353.546 |
| 4 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ILO | 2.320.880 |
| 5 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია WHO | 4.428.686 |
| 6 გაეროს მრეწველობის განვითარების ორგანიზაცია UNIDO | 1.415.333 |
| 7 ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო IAEA | 774.258 |
| 8 ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია WTO | 219.510 |
| 9 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია WTO | 35.240 |
| 10 სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ICAO | 315.070 |
| 11 საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია IMO | 28.849 |
| 12 ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ორგანიზაცია ITU | 851.669 |
| 13 მსოფლიო საფოსტო კავშირი UPU | 259.811 |
| 14 გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა UNEP | 2.900 |
| 15 მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია WMO | 552.759 |
| 16 ევროპის საბჭო | 1.210.196 |
| 17 ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია OSCE | 855.981 |
| 18 ევროპის ენერგეტიკული ქარტია | 15.882 |
| 19 შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა BSEC | 160.000 |
| 20 შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეა PABSEC | 170.518 |
| 21 დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტი | 583.000 |
| 22 დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრი | 49.483 |
| 23 სახელმწიფოთაშორისო სავალუტო კომიტეტი | 72.000 |
| 24 სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ICDO | 101.379 |
| 25 სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ISO | 10.528 |
| 26 საპარლამენტთაშორისო კავშირი IPU | 61.676 |
| 27 ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია | 248.877 |
| 28 შავი ზღვის რეგიონის არქიტექტურული ფორუმი | 9.200 |
| 29 საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი | 2.612 |
| 30 საბაგირო ტრანსპორტის მსოფლიო ორგანიზაცია OITAF | 939 |
| 31 წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაცია | 13.000 |
| 32 ინტერპოლი | 7.042 |
| 33 კულტურული საკუთრების დაცვის საერთაშორისო ცენტრი ICCROM | 630 |
| 34 საზღვაო კანონის საერთაშორისო ტრიბუნალი | 20.530 |
| 35 ევროპის რეგიონთა ასამბლეა | 5.013 |
| 36 საერთაშორისო დიპლომატიური აკადემია | 16.763 |
| 37 შავი ზღვის ფსკერის მმართველობის ორგანიზაცია | 13.393 |
| 38 ღია ცის ხელშეკრულების საკონსულტაციო კომისია | 26.969 |
| 39 ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი | 230.000 |
| 40 მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM | 6.176 |


# საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

კომპანია **"ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების** ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს (CLO) დაევალება დახმარების გაწევა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში ზედამხედველისათვის სოციალურ და საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხების მენეჯმენტში, **საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედებაზე განსაკუთრებული აქცენტით.** მას, უპირველეს ყოვლისა, კოორდინირებულად ურთიერთქმედება მოუწევს:

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის (SCP) მილსადენის მარშრუტის გასწვრივ განლაგებული დასახლებული პუნქტების მოსახლეობასთან.
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის სამშენებლო ბრიგადებთან.
- მშენებლობის კონტრაქტორის CLO-ს ჯგუფთან.
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ საზოგადოების ინვესტირების პროგრამას (CIP).

**იგი უნდა ეცადოს, პოზიტიური ურთიერთობები დაამყაროს მილსადენის გასწვრივ განლაგებული დასახლებული პუნქტების მაცხოვრებლებსა და BTC/SCP-ს შორის.** ამისათვის საჭირო იქნება ამ საზოგადოებრივი ჯგუფების წევრთა პრობლემების მოსმენა, ამ პრობლემათა შესახებ სათანადო ანგარიშების მომზადება და წარდგენა და შემდგომი ღონისძიებების მიღების უზრუნველყოფა. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი საკუთარი დროის უმეტეს ნაწილს გაატარებს საველე პირობებში - სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში.

**მოვალეობები:**

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- უზრუნველყოფა იმისა, რომ BTC/SCP მილსადენის მარშრუტის გასწვრივ განლაგებული დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი, მათთვის მიწოდებული ინფორმაცია პროექტის თაობაზე რეგულარულად განახლდეს ხოლმე და მათთან ჩატარდეს კონსულტაციები მათი პრობლემებისა თუ პრეტენზიების შესახებ. საკითხები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია რეგულარულად უნდა განახლდეს ხოლმე, არის ტრანსპორტის მოძრაობა, უსაფრთხოება, ხმაური, მტვერი, მუშები და ა.შ.
- მოსახლეობისათვის შემაწუხებელ ან მავნე სამუშაოებთან დაკავშირებული ზომების მიღების უზრუნველყოფის საკითხების მართვა და იმის გარანტირება, რომ ხსენებული ზომები მისაღებია დასახლებათა მცხოვრებთათვის.
- უზრუნველყოფა იმისა, რომ დასახლებული პუნქტების მცხოვრებთ შეეძლოთ პროექტისთვის საკუთარი საჩივრების გადაცემა თითოეულ დასახლებულ პუნქტში მომუშავე საზოგადოებასთან კავშირის ნებისმიერი ჯგუფის მეშვეობით.
- ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რაიონში მოქმედ მშენელობის კონტრაქტორის CLO-ებს, CIP-ს ჯგუფისა და შესაბამისი გეოდეზიური ჯგუფის წევრებს შორის საზოგადოებრივ საკითხებთან/პროექტებთან დაკავშირებული მუშაობის კოორდინაციისათვის ხელის შეწყობა.
- სოციალურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ მენეჯმენტის გეგმებში არსებული დარღვევების გამოვლენა და მაკორექტირებელ ღონისძიებათა რეკომენდირება.
- წამოჭრილი დავების გადაჭრისათვის ხელის შეწყობა ადამიანებთან კავშირის დამყარების უნარის გამოყენებით.

**სპეციფიკური საქმიანობა:**

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის საქმიანობა:
- ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა, რომლებშიც განსაზღვრული იქნება ძირითადი საკითხები და ღონისძიებები.
- რეგულარული დასწრება CIP-ს შეკრებებზე.
- უსაფრთხოების საკითხების თაობაზე ბრიფინგების მოწყობა სკოლებში.
- პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან გამართული ფორმალური და არაფორმალური შეხვედრების მეშვეობით.
- BTC/SCP-ს მიერ ჩატარებული საჯარო კრებების დოკუმენტირება.
- დახმარების გაწევა წამოჭრილ დავათა დეტალების დოკუმენტირებაში.
- რეგულარული დასწრება მშენებლობის კონტრაქტორის მიერ ორგანიზებულ საზოგადოების საინფორმაციო ბრიფინგებზე.
- საპროექტო მასალების მიწოდება CIP-ს ოფისებისათვის.
- რეგულარული შეხვედრები მშენებლობის კონტრაქტორის CLO-ებთან, CIP-ს ჯგუფთან და შესაბამისი გეოდეზიური ჯგუფის წევრებთან მათი საქმიანობის კოორდინირების მიზნით.
- BTC/SCP-ს მიერ შემუშავებული საჩივრების შეტანისა და განხილვის პროცედურის მეშვეობით საჩივრების მიღება და მათთვის თვალყურის მიდევნება, შემდეგ კი შესაბამისი დამატებითი ღონისძიებების გატარება საჩივრების მოგვარების უზრუნველსაყოფად.

**მოთხოვნები:**

- საჯარო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების უნარი.
- დიდი მოცულობის ინფორმაციის ორგანიზაციისა და დოკუმენტირების უნარი.
- კონფლიქტების მოგვარების გამოცდილება.
- ქართული და რუსული ენების თავისუფლად ფლობა; ინგლისურის კარგი პრაქტიკული ცოდნა; აზერბაიჯანულის ცოდნა პლუსად ჩაითვლება.
- ძლიერი დაინტერესება სოციოლოგიითა და საზოგადოებრივი საკითხებით.
- საკონსულტაციო პროცედურების არსის კარგი გაგება.
- პროგრამების: MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook კარგად ფლობა.
- კარგი თანამოსაუბრე, გუნდური სულისკვეთების, თვითმოტივირებული, ტაქტიანი და ავტორიტეტული.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 9 თებერვალი, ორშაბათი, საღამოს 18:00 საათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
**AGT მილსადენების პროექტი**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**


# "ჯეოსელის" აბონენტებს სიახლეები ელოდება

*"ჯეოსელი" საქართველოში მოღვაწეობის 8 წლის შედეგებს აჯამებს. მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელმა", რომელიც ჩვენს ქვეყანაში პირველად 1996 წლის შემოდგომაზე შემოვიდა, საკუთარი არსებობის განმავლობაში 77.707 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიცია განახორციელა.*



*აჰმეთ თანიუ "ჯეოსელის" აბონენტებს წელს მრავალ სიურპრიზს ჰპირდება.*

მარიამ ჭაჭვაძე

როგორც თავად კომპანიაში აცხადებენ, ამ რაოდენობის თანხით კი, სულ ცოტა, ათასი კილომეტრის გზა აშენდებოდა, ოცდაათამდე ბანკი დაფუძნდებოდა ან ათი ლოკომოტივის სტადიონი აიგებოდა.

კომპანიის გენერალური მენეჯერი აჰმეთ თანიუ ვარაუდობს, რომ 2004 წელს კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა 15 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბებს, რაც კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების საერთო რაოდენობას 92 მილიონ დოლარამდე გაზრდის. სწორედ "ჯეოსელის" რეალიზაციის ქსელის საშუალებით 4000 ოჯახის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხები შედის.

ამასთან, წინა წლებთან შედარებით, 2003 წელს "ჯეოსელის" დაფარვის ზონა ტერიტორიის მიხედვით გაიზარდა 22 პროცენტით, დასახლებული ტერიტორიების მიხედვით - ცხრა პროცენტით, რადიო-სადგურების რაოდენობა - 63 პროცენტით, სადგურების ტევადობა - 75 პროცენტით, საერთო ჯამში "ჯეოსელს" დაფარული აქვს საქართველოს ტერიტორიის 67 პროცენტი და დასახლებული ტერიტორიის მიხედვით - 93 პროცენტი.

გასულ წელს "ჯეოსელმა" საკუთარ აბონენტებს რამდენიმე მნიშვნელოვანი საჩუქარი გაუკეთა. SMS-ის ღია ბარათები განსაკუთრებული სიახლე აღმოჩნდა "ჯეოსელის" მომხმარებლებისთვის. SMS-ის ღია ბარათების საშუალებით, ადამიანებს შორის ურთიერთობა უფრო მარტივი და საინტერესო აღმოჩნდა.

გარდა ამისა, "ჯეოსელის" საინფორმაციო სერვისის დახმარებით, აბონენტები მომავალი დღის ამინდის პროგნოზს დროულად იგებენ. ნებისმიერი ქალაქის თუ ქვეყნის კოდის გაგება "ჯეოსელის" მომხმარებელს ნებისმიერ დროს და ადგილას სულ მარტივად შეუძლია.

საგულისხმოა, რომ კომპანიამ რვა წლის განმავლობაში, საკუთარი წარმატებული საქმიანობის პარალელურად, საზოგადოებრივ საქმეებშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. კომპანიამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ოთხი სპორტული, ექვსი კულტურული და ხუთი საქველმოქმედო აქციის დაფინანსება მოახერხა.

კომპანიის 156 თანამშრომლიდან 151 - ეროვნებით ქართველია. მათი საშუალო ასაკი 30 წელია. დღეისათვის "ჯეოსელს" 22 ახალი როუმინგ-პარტნიორი ჰყავს, სულ 106 ქვეყანაში - 254 ოპერატორი.

თუმცა, სიურპრიზები "ჯეოსელის" აბონენტებს ჯერ კიდევ წინ ელოდებათ. არ არის გამორიცხული, "ჯეოსელის" აბონენტებმა MMS, GPRS, GPS-ით სარგებლობა წლის ბოლომდე მოახერხონ.


**სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ კომპანიათა საყურადღებოდ**

USAID-ის მიერ დაფინანსებული გადამამუშავებელი საწარმოების მხარდამჭერი (SAVE) პროგრამა ეხმარება ნედლი და გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებს და ექსპორტიორებს.

SAVE-ის ხელშეწყობით იგეგმება საგამოფენო-სარეალიზაციო ცენტრის "საქართველოს სავაჭრო სახლი" დაარსება ქ. მოსკოვში.

საქართველოს სავაჭრო სახლი დაარსდება მწარმოებელთა, გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის მიერ. ასოციაცია მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში, მოიპოვოს დამატებითი დაფინანსება ადგილობრივი და საერთაშორისო დონორებისა და ინვესტორებისაგან.

ასოციაციის წევრებს საშუალება ექნებათ მთელი წლის განმავლობაში წარუდგინონ თავისი პროდუქცია პოტენციურ მყიდველებს და, გარდა ამისა, საქართველოს სავაჭრო სახლისგან მიიღონ მარკეტინგული ინფორმაცია და დახმარება ხელშეკრულებების დადების, ტვირთის განბაჟების და სხვა ფორმალურ საკითხებში.

ასოციაციაში გაწევრიანებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ მოგვმართონ ACD/VOCASAVE-ის ოფისში ა.წ. **10 თებერვლამდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. № 39 ა**
**(ქართუ ჯგუფის შენობა), მე-12 სართული**
**ტელ. 25 02 83**
**საკონტაქტო პირები: გიორგი მურვანიძე, ალექსანდრე ქავთარაძე**

# ირანელმა დეპუტატებმა პარლამენტი დატოვეს

გუშინ, სულ მცირე, 108 ირანელმა დეპუტატმა გააკეთა განცხადება პარლამენტის დატოვების თაობაზე, - იუწყება ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "ირნა". ირანის პარლამენტში სულ 290 დეპუტატია.

გასულ თვეს რევოლუციის გუშაგთა საბჭოს მიერ რეფორმატორ პოლიტიკოსთა დისკვალიფიკაციის გამო, პარლამენტარებმა დეპუტატის მანდატზე უარის თქმით თავიანთი პროტესტი გამოხატეს.

ირანის უმაღლეს მმართველ ორგანოს – რევოლუციის გუშაგთა საბჭოს პარლამენტის ისლამური პრინციპების შესაბამისად მუშაობის უზრუნველყოფა ევალება. მასვე უფლება აქვს, არჩევნების წინ დეპუტატობის ნებისმიერ კანდიდატს დისკვალიფიკაცია მისცეს. გასულ თვეს გუშაგთა საბჭომ 2000-ზე მეტ რეფორმატორ პოლიტიკოსს, მათ შორის 80 დეპუტატს, 20 თებერვალს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აუკრძალა.

დეპუტატთა ამ ჯგუფის სახელით რეფორმატორმა მოჰსენ მირდამადიმ სახელმწიფო რადიოთი გამოსვლისას აღნიშნა, რომ მათ (კონსერვატორებს) "დიქტატურის მახინჯი სხეულის დემოკრატიული სამოსით დაფარვა სურთ".



REUTERS

აღშფოთებული დეპუტატები პროტესტს გამოთქვამენ

პრეზიდენტმა ხათამიმ არაერთხელ განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა პოლიტიკოსს უნდა მიეცეს.

პარასკევს გუშაგთა საბჭომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება დისკვალიფიცირებულთა, დაახლოებით, მესამედს დართო.

შაბათს შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდულვაჰედ მუსავი ლარიმ, რომელსაც არჩევნების ორგანიზება ევალება, განაცხადა, რომ ამ ვითარებაში არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. "თავისუფალი და კონკურენტული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა არ არსებობს," - განაცხადა მან.

პარლამენტის სპიკერმა მეჰდი ქარუბიმ ირანის უზენაეს ლიდერს აიათოლა ალი ხამენეის ჩარევისაკენ მოუწოდა. შექმნილი ვითარების გამო, სპიკერმა ბრალი კონსერვატორებს დასდო. "ერთ პოლიტიკურ ფრთას ხალხის მხარდაჭერა აკლია. მათ ამის მოპოვება ძალით, გუშაგთა საბჭოს დახმარებით სურთ," - აღნიშნა ქარუბიმ.

რეფორმატორი დეპუტატის რაჯაბ ალი მაზრულის თქმით, დისკვალიფიკაციის პირობებში არჩევნების შედეგები წინასწარ იქნება ცნობილი. "არჩევნები, რომლის შედეგები წინასწარ არის ცნობილი, ჩვენი სახელმწიფოს იდეალების ღალატს წარმოადგენს," - დარწმუნებულია დეპუტატი.

შაბათს მთავრობის საგანგებო სხდომა იყო დანიშნული, მაგრამ იგი ხათამის ავადმყოფობის გამო გადაიდო. მთავრობის სხდომაზე რეფორმატორებს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ.

ხათამიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მისი მთავრობა "მხოლოდ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს ჩაატარებს."

შინაგან საქმეთა მინისტრის მოსაზრება, რომ არჩევნები გადაეტანათ, გუშაგთა საბჭომ უარყო. მათი თქმით, არჩევნების გადასადებად მიზეზს ვერ ხედავენ.

# ჭყლეტვა ჰაჯის დროს

საუდის არაბეთში მიმდინარე ჰაჯის დროს ჭყლეტის შედეგად, დაახლოებით, 244 ადამიანი დაიღუპა.

ხელისუფლების ინფორმაციით, რიტუალით გათვალისწინებული ქვების სროლის დროს ამდენივე დაზიანდა.

ტრაგედია მაშინ მოხდა, როდესაც პილიგრიმები მექას მახლობლად მდებარე ქალაქ მინაში ჯამარათის ხიდს მიაწყდნენ ქვის სვეტებისთვის ქვის სასროლად, რომელიც ეშმაკს განასახიერებს.

სიცოცხლეში ერთხელ ყველა ჯანმრთელი მუსლიმი ვალდებულია, ჰაჯი შეასრულოს – მოციქული მუჰამედის ქალაქ მექაში ილოცოს.

ამ წელიწადს ჰაჯის შესასრულებლად მექაში 2 მილიონ მუსლიმზე მეტი ჩავიდა.

ქვების სროლის რიტუალი ჰაჯის ყველაზე სახიფათო ნაწილია. შარშან 14 პილიგრიმი დაიღუპა.

ახლა ჰაჯიმ თავის პიკს მიაღწია, ეშმაკის სიმბოლოებისათვის ქვების სროლის შემდეგ ეიდ ალ-ადჰას რელიგიური დღესასწაული იწყება, როდესაც მორწმუნეები შინაურ ცხოველებს მსხვერპლად სწირავენ.



REUTERS

ჭყლეტის შედეგად დაღუპულები

# ჩრდილოეთ კორეაში საკონცენტრაციო ბანაკი მოქმედებს

ჩრდილოეთ კორეის ჩრდილოაღმოსავლეთში, ჩინეთისა და რუსეთის საზღვართან ახლოს პატარა ქალაქ ჰაენკუნში მდებარეობს ბანაკი №22, ჩრდილოეთ კორეის უდიდესი საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც პოლიტიკური მოტივებით ათასობით კაცი, ქალი და ბავშვია დატყვევებული.

ამ ბანაკის შესახებ რეპორტაჟი ბრიტანულმა "ბიბისიმ" და "გარდიანმა" ჩინეთში ჩრდილოეთ კორეის ყოფილი სამხედრო ატაშეს კვონ ჰიუკის ნაამბობზე დაყრდნობით მოამზადეს.

კვონ ჰიუკის თქმით, რომელიც მანამდე ამ ბანაკის მთავარი მმართველი იყო, მან თავისი თვალით ნახა, როგორ აწამეს მთელი ოჯახი გაზის კამერაში და შემდეგ მოკლეს. "ბოლო წუთებამდე მშობლები თავიანთი ბავშვების გადარჩენას ხელოვნური სუნთქვის მეშვეობით ცდილობდნენ".

ჰიუკმა დეტალურად აღწერა გაზის კამერა. მისი ინფორმაციით, ადამიანების სიკვდილს შუშის კედლების მიღმა მეცნიერები აკვირდებიან.

ჰიუკის თქმით, მაშინ მას სჯეროდა, რომ ამგვარი საქციელი გამართლებული იყო. "ჩვენ ყველას გვწამდა, რომ ჩრდილოეთ კორეაში არსებული ყველა უბედურება და გაჭირვება მათი ბრალი იყო". "მაშინ იმ ოჯახის მიმართ არანაირ სიბრალულს არ ვგრძნობდი," - დასძინა ჰიუკმა.

ჰიუკის აღსარების შემდეგ, ქრისტიანული სოლიდარობის საზოგადოების აღმასრულებელმა დირექტორმა მერვინ თომასმა განაცხადა, რომ "საერთაშორისო თანამეგობრობამ აღარ უნდა დახუჭოს თვალი ამ ბარბაროსულ ციხეებზე." "ჩრდილოეთ კორეაში მიმდინარე წამება მსოფლიოს სინდისზე იქნება," - განაცხადა მან.

# ერაყში ამერიკელთა ახალი კონტინგენტი მიემგზავრება

პირველი გვერდიდან

სწორედ ამიტომ ერაყში ჩასვლამდე ვოლფოვიცი გერმანიის ქალაქ ვიურცბურგს ეწვია, სადაც პირველი ქვეითი დივიზიის შტაბ-ბინაა განთავსებული. აქ ვოლფოვიცმა ჟურნალისტებისათვის პირველი პრესკონფერენცია გამართა.

ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობა კი ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა-არარსებობის გარშემო იყო კონცენტრირებული. ეს საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი დევიდ კეი თანამდებობიდან გადადგა და განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნდა. ამან კი, შესაბამისად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია. ამ საკითხზე პოლ ვოლფოვიცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს სადაზვერვო სააგენტოს მიერ მოწოდებული დეფექტური ინფორმაციების საკითხის შესწავლა. თუმცა, იქვე დასძინა, რომ ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას გამართლებულად თვლის. **"ტერორიზმის წინააღმდეგ ომში ერაყი მნიშვნელოვანი შემობრუნების წერტილი იქნება,"** - აღნიშნა მან. თუმცა, ვაშინგტონის ამ დაჟინებულ განცხადებას ექსპერტები და დამკვირვებლები უკვე დიდი ხანია, ეჭვის თვალით უყურებენ.

### შაბათის მოვლენები

ერაყში პოსტსადასმისეული ეპოქა ამერიკელებს უკვე რეალური და სისხლიანი პარტიზანული ომით ემუქრება. ეს გასულმა შაბათმაც დაადასტურა, როდესაც ქალაქ მოსულში პარტიზანების მიერ განხორციელებულ მასშტაბურ ტერაქტს ათი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 45 მძიმედ დაიჭრა. აფეთქება ქალაქ მოსულის ცენტრში, პოლიციის შენობასთან განხორციელდა, როდესაც პოლიციელები ხელფასის ასაღებად იყვნენ მისულები. გარდა ამისა, იმავე დღეს, ქალაქ მოსულთან ნაღმზე აფეთქდა სამი ამერიკელი ჯარისკაცი. სამივე ადგილზე გარდაიცვალა. სადამის დატყვევების და მისი შვილების ლიკვიდაციის მიუხედავად, ერაყში პარტიზანული ომი არ წყდება. ის უფრო სისხლიან ფაზაში გადადის.

# აშშ-ს თავდაცვის ბიუჯეტი 400 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს

დღეს პრეზიდენტი ბუში კონგრესს თხოვნით მიმართავს, რომ 2005 წელს პენტაგონს 400 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი გამოუყონ.

მომავალი წლის ბიუჯეტი 2003 წლის ბიუჯეტთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა. დამატებითი თანხებით ყველაზე მეტად ბირთვული თავდაცვის სისტემის შექმნით დაკავებული განყოფილებები და კონტრაქტორი ფირმები ისარგებლებენ.

ბირთვული თავდაცვის სისტემას ბიუჯეტი 20 პროცენტით გაეზრდება. ეს პროექტი ალიასკაზე ხორციელდება. მან მოწინააღმდეგის დიდ რადიუსზე მოქმედი ბირთვული რაკეტის ტრაექტორია უნდა განსაზღვროს და მისი ჩამოგდება შეძლოს.

ბუშის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ ამ სისტემის შექმნა აუცილებელია, რათა ამერიკა ე.წ. ურჩი სახელმწიფოებისაგან დაიცვან, რომლებმაც ამერიკის წინააღმდეგ, შესაძლოა, ბირთვული იარაღი გამოიყენონ.

ამ პროექტის კრიტიკოსები ამბობენ, რომ სისტემა ძალიან ძვირი ჯდება და სრულიად უცნობ ტექნოლოგიას ემყარება.

გაზრდილი თავდაცვის ხარჯები აგრეთვე დაკავშირებულია ავღანეთისა და ერაყის ომში დაზიანებული ტექნიკის შეკეთებასთან. ახალი ბიუჯეტი უპილოტო სადაზვერვო და ბომბდამშენი თვითმფრინავების წარმოების გაზრდასაც გულისხმობს.

თუმცა, პენტაგონის მტკიცებით, 401 მილიარდი ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის დასაფარად საკმარისი მაინც არ იქნება. მათი თქმით, ერაყში სამხედრო მისიის შენახვა მოსალოდნელზე ძვირი ჯდება.

ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტი ოცი ყველაზე ძლიერი ქვეყნის ერთად აღებულ სამხედრო ბიუჯეტს აღემატება.


# ტექმომსახურების მგეგმავი

**კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს ტექმომსახურების მგეგმავის თანამდებობის დასაკავებლად. ტექმომსახურების მგეგმავი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.**

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ტექმომსახურების მგეგმავი ანგარიშვალდებულია ექსპლოატაციის მთავარი მგეგმავის წინაშე. პროექტის მიმდინარეობასთან ერთად ფუნქციები გაფართოვდება და შესაფერისი პირებისათვის მოსალოდნელია შეიქმნას თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობები. პროექტის წინასაექსპლოატაციო ფაზიდან ექსპლოატაციის ფაზაზე გადასვლასთან ერთად შეიცვლება მოვალეობებიც.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ტექმომსახურების მგეგმავის ზოგად მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

**წინასაექსპლოატაციო ფაზაზე:**

- ერთობლივი მუშაობა მთავარ მგეგმავთან ტექმომსახურების მენეჯმენტის ახალი სისტემის დანერგვის სფეროში.
- კოორდინირებული მუშაობა ტექმომსახურების კონსულტანტებთან - მიმდინარე პროფილაქტიკური ტეომომსახურების, სამუშაოს გეგმების და ინსპექტირების ღონისძიებების შემუშავების სფეროში.
- მონაწილეობა ტექმომსახურების და ინსპექტირების გრაფიკების შემუშავების და საწყისი ოპტიმიზაციის პროცესში, რათა ისინი მზადყოფნაში იყოს ექსპლოატაციის დაწყების მომენტისათვის აზერბაიჯანსა და საქართველოში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად, საინჟინრო და ტექმომსახურების ჯგუფის ექსპლოატაციისათვის მზადყოფნის გაკონტროლება და დოკუმენტური აღრიცხვა.
- მთავარ მგეგმავთან ერთად ოპტიმალური პრაქტიკის დანერგვა მთელი სტრუქტურის მასშტაბით, ტექმომსახურების დაგეგმვის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მზადების სფეროში, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ძირითადი ინდიკატორების შემუშავება (შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები/საშუალებები).

**ექსპლოატაციის ფაზაზე:**

- მჭიდროდ ითანამშრომლებს მთავარ მგეგმავთან, რათა დახვეწოს და დანერგოს ტექმომსახურების დაგეგმვის საუკეთესო პრაქტიკა ტექმომსახურების და ექსპლოატაციის ბრიგადებში. აქვე იგულისხმება ყოველდღიური/ყოველკვირეული დაგეგმვა და საკოორდინაციო შეხვედრები.
- იმუშავებს ტექმომსახურების და ექსპლოატაციის კონსულტანტებთან, რათა ყოველგვარი სამუშაო წარიმართოს ექსპლოატაციის კრიტიკული რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად, ეფექტურად და უსაფრთხოების პირობებში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად შეიმუშავებს და აწარმოებს გრძელვადიან, საშუალო (12 კვირა) და მოკლევადიან სამუშაო გრაფიკებს, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ტექმომსახურების, ექსპლოატაციის და საპროექტო ღონისძიებები, აგრეთვე ნებისმიერ მესამე მხარესთან და მასალების მარაგებთან დაკავშირებული საკითხები.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების შესრულების ანგარიშების და შესრულების ძირითადი ინდიკატორების ოპერატიულად მოწოდებას და ანგარიშგებას, აგრეთვე სუსტი სფეროების დროულად გამოვლენას, რომელიც გაუმჯობესებას მოითხოვს, და ადეკვატური ზომების გატარებას.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების დაგეგმვის ცენტრალურ სისტემაში დაცული მონაცემების თანმიმდევრულობას.
- მოამზადებს დიდი მოცულობის სამუშაო პაკეტის დეტალურ გეგმებს, გააკონტროლებს სამუშაოს მიმდინარეობას და გასცემს სათანადო მაკორექტირებელი ზომების რეკომენდაციებს, გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში.
- უზრუნველყოფს ექსპერტიზას ტექნიკური დაგეგმარების საკითხებში.

**მოთხოვნები**:

- კანდიდატებს მოეთხოვებათ შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- წარსული გამოცდილება ტექმომსახურების სფეროში (საუკეთესო შემთხვევაში, 3 წლის განმავლობაში).
- სწავლების და კომუნიკაციის კარგი უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის კარგი უნარი (Microsoft Office, ტექმომსახურების სისტემის სერვის-პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება).
- გუნდის წევრად მუშაობის სურვილი.
- სასურველია ტექმომსახურების დაგეგმვის სისტემის, სერვის-პროგრამის ან MS Project-ის ცოდნა, თუმცა გათვალისწინებულია ტრენინგი ამ სფეროში.
- განათლების დიპლომი, სასურველია ტექნიკურ დარგში.
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების თავისუფლად ფლობა (წერილობითი და ზეპირი).
- საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განაცხადის შემოტანის წესი/დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობების დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 3 თებერვალი, სამშაბათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP-საქართველო**
**საქართველო, თბილისი**
**საბურთალოს ქუჩა N38**

# "Ich liebe dich!" - მე შენ მიყვარხარ

*პატარა ბიჭი მაგიდასთან იჯდა და გამოთქმით კითხულობდა გალაკტიონის "მერის". წელიწადნახევრის წინათ მას გამართულად ლაპარაკიც არ შეეძლო. არც ასე ხშირად და გულიანად იცინოდა. თავისი ცხოვრების რვა წლიდან ხუთი მან თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში გაატარა. გიორგი ცერებრალური დამბლით დაიბადა და ოჯახმა მისი დატოვება არ ისურვა. დღეს იგი დედობილთან, მამობილთან და მათ ვაჟიშვილ, 15 წლის ბაჩოსთან ცხოვრობს. ისინი მისთვის დედა, მამა და ძმა არიან – ასე ეძახის. თვალებზე, ღიმილზე, ქცევაზე ეტყობა, რომ ბედნიერია. საკუთარი ოჯახი ჰყავს და წასვლა აღარსად უნდა.*

მაკა ჭაიანი

მეტრეველების ოჯახში გიორგი სულიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების "კლარიტას-XXI"-ის, "კიდობანი"-სა და საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps-ის ერთობლივი პროექტის – "მაღალი რისკის ბავშვთა გადარჩენა" - ფარგლებში მოხვდა (მის საინფორმაციო უზრუნველყოფას საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision International ახორციელებს). ეს პროექტი 2001 წელს, საქართველოში მოღვაწე ამერიკელი ქალბატონის, შერილ ნელსონის ინიციატივით დაიწყო.

**"ქალბატონმა შერილმა სენაკის ბავშვთა სახლი მოინახულა,** - ყვება "კლარიტასის" წევრი, პედიატრი ნანი ყავლაშვილი, **- მოგეხსენებათ, ბავშვთა სახლების მდგომარეობა როგორიცაა, იმ დროს კი სენაკში ჰყავდათ ხუთი პატარა, რომელიც, პრაქტიკულად, სიკვდილის პირას იყო მისული, მათი რეაბილიტაცია რომ არ მომხდარიყო. ხუთივე ჩვენთან, გურამიშვილის სახელობის პედიატრიულ კლინიკაში ჩამოიყვანეს. რადგან მათი კურატორი ორგანიზაცია მთლიანად ვერ იღებდა თავის თავზე ამ ბავშვებზე მზრუნველობას, დახმარება კლინიკის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთი ნემსაძეს სთხოვა. ასე შეიქმნა ეს პროგრამა. 2001 წლის აპრილისთვის კლინიკაში 20 ბავშვი ჩამოვიყვანეთ: ხუთი – ჩვილ ბავშვთა სახლიდან, მათ შორის გიორგიც, ორი - კასპის ბავშვთა სახლიდან, დანარჩენები - სენაკიდან. პროექტი ითვალისწინებდა მათ ტრანსპორტირებას, სპეციალურ სამედიცინო მეთვალყურეობას, ადეკვატურ მოვლასა და კვებას."**

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა მოვლა სპეციფიკურია. ამ ბავშვებს არ შეუძლიათ სიარული, ხოხვაც კი, საწოლებს არიან მიჯაჭვულნი და მთლიანად არიან დამოკიდებულნი მომვლელზსა და გარემოზე. ჩამოყვანილი ბავშვების მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ პირველი რიგის ამოცანას მათვის სიცოცხლის შენარჩუნება წარმოადგენდა. ნევროლოგიური დარღვევების ფონზე, მოვლის დეფიციტის გამო, ისინი ცილოვან-კალორიული უკმარისობით, კუჭ-ნაწლავისა და რესპირაციული ტრაქტის ინფექციებით, პიოდერმით, ანემიით, დატილიანებით, მუნით, ნაწოლებით იტანჯებოდნენ. მკურნალობის შემდეგ ბავშვების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მათ ისწავლეს ჯდომა, კოვზის დაჭერა, საკვების დამოუკიდებლად მიღება და ა.შ. მიუხედავად ექიმთა და მომვლელთა ძალისხმევისა, მძიმე პათოლოგიების გამო, ორი პატარა გარდაიცვალა. დანარჩენები ახლა ოჯახებში ცხოვრობენ.

**"თავიდან ამაზე არც გვიფიქრია, იმდენად რთული იყო მათი მდგომარეობა,** - ამბობს ნანი ყავლაშვილი, **- წელიწადნახევრის შემდეგ, როცა ბავშვების მდგომარეობა სტაბილური გახდა, თავისთავად დაისვა მათი მომავალი ბედის საკითხი. უკან, ბავშვთა სახლებში ამ პატარების დაბრუნება მათ გაწირვას ნიშნავდა. ვიცოდით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები - EveryChildi, UNICEF, World Vision International, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლების სამინისტროსთან ერთად ახორციელებდნენ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების რეინტეგრაციისა და გაშვილობილების პროექტს. მათ დავუკავშირდით და ჩვენს კლინიკაში მყოფი მაღალი რისკის ბავშვების გაშვილობილების პროცესი დავიწყეთ."**

EveryChildi-ის, UNICEF-ის, World Vision International-ის, Mercy Corps-ის "კიდობანი"-ს, "კლარიტას-XXI"-ს, განათლების სამინისტროსა და გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის აქტიური თანამშრომლობით, პატარების რეინეგრაციისა (ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება) და გაშვილობილების (სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, განსაზღვრული ვადით ბავშვის მიმღები ოჯახისთვის გადაცემა, მისთვის გვარისა და ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნებით) პროცესი წარმატებით განხორციელდა. ხუთი პატარა საკუთარ ოჯახს დაუბრუნდა, 13 – მიმღებ ოჯახში განთავსდა. მათ მდგომარეობას ახლა სოციალური ოჯახები აკონტროლებენ.



*პატარა გიორგი ახლა ბედნიერია.*

**"თავიდან ჩვენ ერთგვარი სიფრთხილე გამოვიჩინეთ, როცა მაღალი რისკის ბავშვების ოჯახებში მოთავსებაში დახმარება გვთხოვეს,** - იხსენებს სოციალური მუშაკი სალომე ჭიჭინაძე, **- მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა გაშვილობილების პროგრამას 1999 წლიდან ვახორციელებდით, მაგრამ, ამ შემთხვევაში, არ ვიცოდით, მოიძებნებოდა თუ არა მათი მიღების მსურველი ოჯახები. ისე მოხდა, რომ თავად კლინიკის, ჩვილ ბავშვთა სახლის თანამშრომლებთან საუბრის შემდეგ, ასეთები აღმოჩნდნენ. პროგრამა 120 დოლარის ეკვივალენტს იხდის ლარებში თითოეული ბავშვის პატრორნობისას და ეს მიმღებ ოჯახს შრომით სტაჟადაც ეთვლება. ოჯახების შესარჩევად სერიოზული მუშაობა ჩატარდა. წვრთნების პარალელურად, ჩვენ ვარკვევდით, ფსიქოლოგიურად რამდენად იყო ოჯახი მზად ასეთი ბავშვების მისაღებად - მათ ხომ განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროებათ. შემიძლია გითხრათ, რომ გიორგის საუკეთესო შედეგები აქვს. არ აკლია ზრუნვა, მოფერება, მოვლილია და თავს კარგად გრძნობს."**

მოძრაობის საშუალება გიორგის ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულმა ოპერაციამ მისცა. იქამდე ბავშვს ფეხები ეხლართებოდა და დედობილი დიდი წვალებით უხსნიდა. ახლა პატარა სიარულს სწავლობს. ამაში ბაჩოს მიერ დამზადებული ჩარჩო ეხმარება. მოთავსდება ხელნაკეთ ჭოჭინაში და დადის. ლექსები უყვარს, ადვილად სწავლობს, ანბანსაც სიამოვნებით ჩამოგირაკრაკებთ და იმასაც გეტყვით, რამდენი ხმოვანია ქართულ ენაში; იცის ქართველი და რუსი მწერლები. მეტსაც გეტყვით, გერმანულსაც სწავლობს. დედობილის – ნანა გაგლოშვილის ოცნება გერმანისტობა ყოფილა და დღეს შვილს (თავად ასე ეძახის) გერმანულსაც მონდომებით ასწავლის.

**"პირველი შვილი მყავდა ცერებრალური დამბლით. ექვსი წლისა და ექვსი თვის იყო, რომ გარდამეცვალა, გიორგი ერქვა,** - ქალბატონ ნანას თვალები უწყლიანდება, **- ახლობლები მეუბნებოდნენ, რას აკეთებ, იგივე მდგომარეობაში რატომ იგდებ თავს, სუსტი ხარ და ამხელა ტვირთს ნუ მოიკიდებო... მე ვიცი, ჩემს შვილს რა უხაროდა, რა უყვარდა, რა სჭირდებოდა... ბევრს ჰგონია, რომ, რადგან ამ ბავშვებს მოძრაობა არ შეუძლიათ, საზოგადოებისგან მოწყვეტილნი უნდა იყვნენ. ასე არ არის. მათაც სჭირდებათ სითბო და სიყვარული, მათაც უნდათ თამაში და გართობა. მართალია, შრომატევადია ეს საქმე, მაგრამ დედის ვალი სხვა რა არის? ბევრს ვწვალობ, მაგრამ კმაყოფილიც ვარ. იცით, როგორი თბილია? საკმარისია, ოდნავ შემეცვალოს ხასიათი, მეკითხება, - დედა, ცუდად ხომ არა ხარ? ისე არ დაიძინებს, დედა, ტკბილი ძილი გექნასო, რომ არ მითხრას. არადა, სულ ორი სიტყვა იცოდა..."**

"ოთო ძია" იყო ის ორი სიტყვა, რომელიც გიორგიმ ღვთისნიერი ადამიანების ხელში მოხვედრამდე იცოდა. ნანა გაგლოშვილს და მთელ მის ოჯახს ძალიან უყვარს გიორგი და მასთან განშორება ვერც კი წარმოუდგენია, თუმცა, თუკი სახელმწიფომ თავისი წილი პასუხისმგებლობა არ აიღო, საერთაშორისო დახმარების შეწყვეტის შემდეგ, ამის გაკეთება გაუძნელდება. იგი უმუშევარია, მის მეუღლეს კი მხოლოდ 50 ლარი აქვს ხელფასი. "მაღალი რისკის ბავშვთა გადარჩენის" პროგრამის პრეზენტაციაზე უთქვამთ, შემდგომ დაფინანსებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იტვირთებსო. მაქსიმუმი, რის გაღებასაც ეს უწყება მიმღები ოჯახებისთვის აპირებს 150 ლარია. რა თქმა უნდა, ეს თანხა საკმარისი არ არის; რა თქმა უნდა, ამ ბავშვების უკან დაბრუნება მათ წინაშე ჩადენილი ყველაზე სასტიკი დანაშაული იქნება. თუ ჩემი არ გჯერათ, გიორგის ესტუმრეთ და ნახეთ, როგორი გაცისკროვნებული თვალებით ეუბნება იგი "ნანა დედას": "Ich liebe dich."

# ვითხოვთ ხელფასს და წამალს!

ეროვნული სამედიცინო ცენტრი მანკიერების ზღვარზე

*სამი თვის დაუფინანსებლობის გამო, აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. მიუღებელი ხელფასები ექიმებს, რომელთაც ავადმყოფისთვის ფულის გამორთმევა სასტიკად ეკრძალებათ, დანაშაულისკენ უბიძგებს. მედიკამენტების დეფიციტმა კი კლინიკის ადმინისტრაცია მათხოვრად გადააქცია. რთულ ვითარებას ბოლო არ უჩანს. ჯანდაცვის სფეროში ეროვნულ იდეას დისკრედიტაციის საფრთხე დაემუქრა.*

ზაზა ფარჯაშვილი

ჯანდაცვის სფეროში ეროვნული იდეა მდგომარეობდა შემდეგში: საქართველოში უნდა შექმნილიყო ისეთი სამკურნალო დაწესებულება, რომელიც ქვეყნის უმწეო მოსახლეობას უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფდა. ჩვენისთანა განვითარებადი ქვეყნისთვის ეს, რა თქმა უნდა, უტოპიაა, მაგრამ წინა მთავრობამ, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, შეძლო აღნიშნული იდეის ხორცშესხმა და დიღომში შეიქმნა IV დონის ეროვნული სამედიცინო ცენტრი. მსოფლიო ბანკის, იაპონიის მთავრობისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ცენტრი 2002 წლის მაისში გაიხსნა. იგი აღჭურვილია ისეთი თანამედროვე აპარატურით, რომ "დიდი სამედიცინო" ქვეყნებიდან ჩამოსულ ექიმებსაც კი უკვირთ და, რაც მთავარია, ამ სიკეთით სარგებლობს ქვეყნის რიგითი, უმწეო მოქალაქე, ანუ ის, ვისთვისაც იქმნება კიდეც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები. შესაბამისად, ეროვნული სამედიცინო ცენტრის შემოსავლების 80 პროცენტი სწორედ სახელმწიფო პროგრამებით განისაზღვრა, რაც თვეში 500 ათას ლარს შეადგენდა (საკუთარი, ანუ შიდა სტანდარტებით მიღებული თანხა, დაახლოებით 50-100 ათასი ლარი, მთლიანი შემოსავლის 20 პროცენტია). კარგ დაფინანსებას ჩვენი ქვეყნის პირობაზე მაღალი ანაზღაურებაც მოჰყვა და, პირველად საქართველოში, იმის საშუალებაც გაჩნდა, რომ ავადმყოფისთვის ფული და მედიკამენტები არავის მოეთხოვა. ასეთი ჯანსაღი იდილია გასული წლის ნოემბერში შეწყდა და ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ ეროვნულ იდეას საფრთხე დაემუქრა.



*ეროვნულ ცენტრში რეანიმაციის ერთი დღე ასობით დოლარი ჯდება, დაუფინანსებლობა ნიშნავს სიკვდილს!*

სამი თვეა, რაც სახელმწიფო აღებულ ვალდებულებებს აღარ ასრულებს. ამის გამო ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამედიცინო პერსონალი, რომელსაც ავადმყოფისთვის ფულის გამორთმევა ეკრძალება. კლინიკის ხელმძღვანელობა საგონებელშია ჩავარდნილი და ფიქრობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, მაშინ მედპერსონალის გაკონტროლება ვეღარ მოხერხდება.

კლინიკის აღმასრულებელი დირექტორი დავით ბანცაძე:

**"ყოველგვარ ღონეს ვხმარობთ იმისთვის, რომ არ დავუშვათ მანკიერება – ავადმყოფისგან ფულის აღება და პატრონის წამლებზე და სამედიცინო საშუალებებზე გაგზავნა, მაგრამ როდემდე?**

**ყოველდღიური შემოსავალი მერყეობს 1000-დან 1500 ლარამდე, რომლის განაწილებაში მონაწილეობს ყველა თანამშრომელი. ერთად ვწყვეტთ, ვის მივცეთ 5 ლარი, ვის – 10 ლარი, რომ ხალხმა სახლში პური მიიტანოს და სამსახურშიც მოვიდეს.**

**დიდი პრობლემებია მედიკამენტებით უზრუნველყოფაშიც. დღეს ამ პრობლემას ვაგვარებთ პიროვნულ დონეზე. მეგობრებისა და ახლობლების დახმარებით გამოგვაქვს წამლები სააფთიაქო ბაზებიდან, მაგრამ როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება?**

**მხოლოდ ორ რამეს ვითხოვთ – ხელფასს და წამალს. სხვას ყველაფერს ჩვენ მივხედავთ და დაწესებულებას იმ ფორმით ვამუშავებთ, როგორ მოთხოვნებსაც უყენებენ მას დამფინანსებლები და პატრონები. ვიღაცამ აუცილებლად უნდა მიიღოს ქმედითი ზომები, იქნება ეს ფინანსთა სამინისტრო, ამ დაწესებულების 100 პროცენტიანი დამფუძნებელი ქონების მართვის სააგენტო თუ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი".**

დღეისათვის ეროვნული სამედიცინო ცენტრის სახელფასო დავალიანება 800 ათასი ლარია, სააფთიაქო ბაზების ვალი – 500 ათასი ლარი, პერსპექტივა არ ჩანს. კულუარული ინფორმაციით, ახალ ხელისუფლებას ეროვნული სამედიცინო ცენტრის პრიორიტეტული დაფინანსება აღარ სურს, თუმცა ოფიციალურად ამას არავინ ადასტურებს.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორი ვლადიმერ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ეროვნული სამედიცინო ცენტრის დაფინანსების პრიორიტეტულობა სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს. საკითხი კი ჯანდაცვის ახალმა მინისტრმა უნდა დააყენოს. ფინანსთა მინისტრის განცხადებით კი, მისთვის ეს პრობლემა უცნობია.

ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ჯანდაცვაში ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი იკარგება და ამისთვის არავის სცალია.

*საფეხურები*

# ოთხ კედელს შუა, კეთილი ადამიანების იმედით

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან- ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

დალი მანაკლიშვილი 44 წლისაა, პირველი ჯგუფის ინვალიდია და უკვე ცხრა წელია, ძვლოვან სისტემაში ძლიერი ტკივილები აქვს, თანაც მარტოხელაა და გადაადგილება უჭირს.

ქალბატონი დალი პროფესიით მხატვარია. მან თოიძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, რის შემდეგაც, განაწილებით მოხვდა თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. აქ 20 წელიწადი მხატვრად, გრიმიორ-დეკორატორად იმუშავა. "მაშინ კარგი ხელფასი მქონდა, მაგრამ მერე, როცა საქართველოში სიტუაცია აირია, აღარც ხელფასი მქონდა და პირობებიც ძალიან მძიმე შემექმნა," - იხსენებს იგი. იმ დროისთვის დალი მანაკლიშვილი თელავში მეოთხე სართულზე ცხოვრობდა. იმის გამო, რომ არც წყალი და არც შუქი არ ჰქონდა, თანაც მარტო ცხოვრობდა, თვითონ უწევდა შეშისა და წყლის მეოთხე სართულზე ზიდვა. ძალიან მალე ფეხის ტკივილი დაეწყო.

მოგვიანებით, 4 წლის წინათ, გაუსაძლისი პირობების გამო, თბილისში გადმოსვლა გადაწყვიტა. თელავში ბინა გაყიდა და თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში დასახლდა. თბილისში იგი ტელევიზიაში მუშაობას აპირებდა, მაგრამ, ბედის უკუღმართობის გამო, ცხოვრება სულ სხვაგავარად წავიდა. მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდა, ტკივილები ძვლოვან სისტემაში ისე გაუმძაფრდა, რომ ექიმს მიმართა. მეგობრებმა და ეკლესიამ ქალბატონ დალის ფული შეუგროვა. ამან მას კომპიუტერული გამოკვლევის ჩატარების საშუალება მისცა. აღმოჩნდა, რომ ხერხემლის ერთი მალა ჩავარდნილი აქვს და ნერვია მოყოლილი.

დალი მანაკლიშვილმა ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა, მაგრამ ექიმებმა იმის გარანტია ვერ მისცეს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და ინვალიდის ეტლს მთელი ცხოვრებით არ მიეჯაჭვებოდა. გამოსავლის პოვნა ქალბატონმა დალიმ საზღვარგარეთ სცადა და კომპიუტერული გამოკვლევის პასუხები გერმანიაში მეგობარს გაატანა. იქაურმა ექიმებმა გამოჯანმრთელების გარანტია მისცეს, თუკი



*"ჩემი სახლი ჩემთვის გალიად იქცა"*

კომპლექსურ ოპერაციას გაიკეთებდა - ორივე ფეხზე და ხერხემალზე. ასეთი ოპერაცია ასი ათას დოლარამდე შეუფასეს. ამიტომ იმედი იმისა, რომ საშინელი ტკივილები როდესმე შეუწყდებოდა, აღარ დარჩა.

მისი ავადმყოფობის ერთ-ერთი თვისება ხერხემლის გაშრობაა, რაც მდგომარეობის გაუარესების მიზეზია. პროცესის შესაჩერებლად, ექიმებმა ხერხემლის მედიკამენტებით კვება ურჩიეს. როგორც აღმოჩნდა, ამასაც ძვირადღირებული წამლები სჭირდებოდა. ერთი თვის სამკურნალო კურსი ქალბატონ დალის სულ ცოტა 200 დოლარი უჯდებოდა. ამის გამო, ამ კურსის ჩატარება მან ერთხელაც ვერ შეძლო. ერთ-ერთ პოლიკლინიკაში ექიმი ხერხემლის გარშემო სისხლის მიმოქცევის აღდგენას მანუალური თერაპიის (ხერხემლის უსისხლოდ გაწევა და ნერვის გათავისუფლება) საშუალებით შეჰპირდა და უთხრა, რომ ამის შემდეგ მისი მდგომარეობა დროებით შემსუბუქდებოდა. ამ პროცედურის ჩატარება დალი მანაკლიშვილს 600 ლარი დაუფასეს და ესეც ვერ მოახერხა.

ქალბატონი დალის ამობს, რომ მხოლოდ მკურნალობა არ უშველის, რომ ჯერ სწორი დიაგნოზის დადგენა სჭირდება. არასწორი მკურნალობის გამო, მან მედიკამენტოზური ინტოქსიკაციაც მიიღო და, საავადმყოფოში მოხვედრილი, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. "ახლა თავი რომ ამტკივდეს, ანალგინსაც კი ვერ დავლევ, მხოლოდ ნატურალური წამლები უნდა ვსვა, რაც ძალიან ძვირი ღირს. ამიტომ ბალახებს ვიხარშავ და ტკივილს ცოტა ვიამებ," - ამბობს დალი მანაკლიშვილი. ხანდახან ისეთი ტკივილები აქვს, რომ ლოგინში წევს და ვერც კი ინძრევა. მისი ვარაუდით, ხერხემლის მალის ჩავარდნის მიზეზი, შეიძლება, მძიმე ტვირთის ზიდვა ყოფილიყო. ექიმთან მისვლის და სწორი მკურნალობის დანიშვნის საშუალება მან ოთხი წელია ვერ გამონახა.

რვა თვის წინათ დალი მანაკლიშვილმა დახმარების შესახებ განცხადება მერიაში შეიტანა, მაგრამ პასუხი იქიდან ჯერ არ მიუღია. იგი პირველი ჯგუფის ინვალიდია და სახელმწიფოსგან პენსიის სახით 17 ლარს იღებს, მარტოხელაა და ამისთვის თვეში 22 ლარიც ეკუთვნის. ამ 37 ლარის გარდა მას სხვა შემოსავალი არა აქვს. ქალბატონ დალის ჰყავს მოხუცებული მამა, რომელსაც ცალკე ოჯახი აქვს და საკმაოდ გაჭირებულად ცხოვრობს. მას ჰყავს მეგობრები, რომლებიც ეხმარებიან - სახლს ულაგებენ და სარეცხს ურეცხავენ. იმის გამო, რომ ის მაღაზიაშიც ვერ ჩადის, მისთვის პური მეზობლებს მოაქვთ. "მე ძალიან ენერგიული ვიყავი. სახლში ვერავინ გამაჩერებდა, ბევრს ვმუშაობდი, ახლა კი ჩემი სახლი ჩემთვის გალიად იქცა," - წუხს დალი მანაკლიშვილი.

**თუკი ვინმეს მისი დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" – კოორდინატორს, ირინა სიგუას. ტელ: 8 99 555 113**

# ჩინოსანთა ძალადობა უჩინოთა მიმართ


თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი "ჯიპი", რომელსაც ექსპერტიზა ჩაუტარდა.


ვახო ხაილიას ფოტო
ლევან ხუფენია


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ზვიად ფოფხაძე

პირველი გვერდიდან

ამჟამად, ამ ავარიის ირგვლივ სიტუაცია ამგვარია: მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში შესულია თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, რომლითაც იგი მანქანის მწყობრიდან გამოსვლით მიღებული მატერიალური ზარალის – 29 ათასი ლარის გადახდას ითხოვს. ლევან ხუფენიამ ამ სარჩელს შესაგებებელი სარჩელით უპასუხა და, თავის მხრივ, ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში შეიატანა სარჩელი, რომლითაც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისა და მაღალჩინოსნების მიერ მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.

ამ სარჩელების კორიანტელს მიღმა კი რეალური ისტორია დგას.

ლევან ხუფენიას ნაამბობი: **"მე და ჩემი მეგობარი თბილისიდან მივდიოდით, ხაშურთან ახლოს, გვიან შევნიშნე, რომ საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მანქანა ჩვენს სავალ ნაწილზე იყო გადმოსული. ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი, რომ ავარია თავიდან ამეცილებინა. მანქანიდან გამოსულმა დავინახე, რომ ირგვლივ შეიარაღებული ხალხია. ერთი ხუთი ჯიპი მაინც იყო გაჩერებული. ხუთ წუთში კი უამრავი სამხედრო შეიკრიბა, გამოჩნდა დავით თევზაძეც, რომელიც უცებ ვერც კი ვიცანი – თავს ცუდად ვგრძნობდი, თვალებში მიბნელდებოდა. მივედი მასთან. მკითხა - სადაურები ხართო, - გალელებიმეთქი. რაღა მაინცდამაინც ჩემი მანქანა ამოირჩიეთ, რომ დაგერტყათო. ამ დროს იქ ხალხი გამოჩნდა, უთხრეს, რომ ყველაფერი დაინახეს და ჩვენ კი არა, პირიქით, მათმა მანქანამ დაგვარტყა. ამ დროს მოვიდნენ საგზაო პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც მომხდარის სქემატური ნახაზის გაკეთების სურვილი გამოთქვეს, მაგრამ მე უკვე ძალიან ცუდად ვიყავი. ნაცნობებმა, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ იქ, ხაშურის საავადმყოფოში გამაქანეს, უკან წამოგვყვნენ სამხედროებიც. მიმიყვანეს ხაშურის საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა შეამოწმეს ჩემი დაზიანებები და ტკივილების გასაყუჩებლად ნარკოტიკული საშუალებაც გამიკეთეს – ეს ყველაფერი მათ მიერ შედგენილ დასკვნაში წერია. სამხედრო პირები ექიმების ყველა მოძრაობას თვალს ადევნებდნენ, იცოდნენ, რა მჭირდა და რა სამედიცინო დახმარებას მიწევდნენ. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, ექიმები ეუბნებოდნენ, რომ უნდა ვწოლილიყავი, სამხედრო პირები მათ არწმუნებდნენ – სჯობს თბილისში, ჰოსპიტალში გადავიყვანოთო. ბოლოს ერთ-ერთ მათგანს ხელწერილი დააწერინეს - ეს ხელწერილი ჩვენ ხელთ გვაქვს - რომ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მივყავდი თბილისში. წამომიყვანეს კიდეც, ოღონდ არა თბილისში, არამედ ხაშურშივე – ნარკოლოგიურ დისპანსერში. ეს უკვე ის მომენტია, რომ მე, იმ პრეპარატის გამო, რომელიც საავადმყოფოში გამიკეთეს, ღრმად მეძინა".**

ხაშურის ნარკოლოგიურ დისპანსერში თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს უარი უთხრეს თითქმის უგონოდ მყოფი, ტვინის შერყევის მქონე ადამიანის ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და ურჩიეს, ლევან ხუფენია სამკურნალო დაწესებულებაში მოეთავსებინათ.

თუმცა...

**"გონს რომ მოვედი, გორის ნარკოლოგიურ დისპანსერში ვიყავი. პირველად იქ შევნიშნე კობა კობალაძე. მართალია, იქ უკვე აღარ ვიყავი მხოლოდ კეთილსინდისიერი ექიმების იმედად - უკვე ჩემი მეგობარი და ჩემი მშობლებიც მოსულიყვნენ – მაგრამ მესმოდა, როგორ აძალებდა კობა კობალაძე ექიმებს, ჩემთვის ნარკოლოგიური შემოწმება ჩაეტარებინათ"**, - იხსენებს ლევან ხუფენია.

ლევან ხუფენიას მამა თამაზ ხუფენია კი ამბობს, რომ შვილს ძლივს მიაგნო: **"როგორც კი ლევანის მეგობარმა - ზვიადმა დაგვირეკა, ავარიაში მოვყევით და ლევანი სამხედროებმა წაიყვანეს საავადმყოფოშიო, იმედი მომეცა, სანდო ხელშია-მეთქი, ვიფიქრე და მაშინვე ხაშურისკენ ავიღე გეზი. პერიოდულად ზვიადს ვუკავშირდებოდი ტელეფონით, მისი დახმარებით, მეგონა, შევუთანხმდი სამხედრო პირებს, რომ გზაზე ერთმანეთს შევხვდებოდით და ჩემს შვილს ერთად მივიყვანდით საავადმყოფოში. თუმცა, როცა დამინახეს, მათ მანქანა არ გააჩერეს და ზვიადიც აიძულეს, მობილური ტელეფონი გამოერთო. ჩემი მანქანით ადევნებას აზრი არ ჰქონდა, ისევ ზვიადის ზარს დავუწყე ლოდინი. ცოტა ხანში მოვახერხე მასთან დაკავშირება, მითხრა, გორისკენ გადავუხვიეთო. ვიფიქრე, გორის საავადმყოფოში მიდიან-მეთქი, მაგრამ იქ მისულს არავინ დამხვდა. როდის მომივიდა აზრად ნარკოლოგიურში წასვლა, არც მახსოვს, მაგრამ სწორედ იქ ვიპოვე ჩემი შვილი და კარგადაც მივუსწარი. ძლივს მოვახერხე იმ სამხედრო დაცვის გარღვევა, რომელიც ნარკოლოგიურის შესასვლელში დაეყენებინათ. ზემოთ ასული კი შევესწარი, როგორ აძალებდა გენერალი კობა კობალაძე სამედიცინო პერსონალს, რომ ლევანისთვის ნარკოლოგიური შემოწმება ჩაეტარებინათ. ისინი უარობდნენ. ცხადია, მან იცოდა, ჩემს შვილს ხაშურში რომ ნარკოტიკი გაუკეთეს და მისთვის ნარკოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დამტკიცების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმესაც აღძრავდნენ და ყველაფერს უფრო ადვილად დააბრალებდნენ".**

თუმცა, მშობლებისა და ექიმების წინააღმდეგობამ გაჭრა. მეტიც, ლევან ხუფენიას დედამ თავად კობალაძეს მოსთხოვა, შენ თვითონ გაიარე შემოწმებაო და, მართლაც, იმ დღეს გორის ნარკოლოგიურ დისპანსერში შედგა დასკვნა, რომლის თანახმადაც გენერალი, მართალია, ფხიზელი იყო, თუმცა, თავისთავად იმ ფაქტს, რომ იგი იქ საერთოდ იმყოფებოდა, ლევან ხუფენიას დაცვა სამხილად იყენებს. თავად კობა კობალაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ მისი მხრიდან მედპერსონალზე ზეწოლის არავითარი მცდელობა არ ყოფილა და ის ისეთივე უბრალო მოწმე იყო ყველაფრისა, როგორც სხვა არაერთი ადამიანი. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, იგი არ აღიძრა – შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის გამომძიებლებმა ლევან ხუფენიას ქმედებაში, მოძრაობის წესების დარღვევის გარდა, ვერანაირი დანაშაული ვერ აღმოაჩინეს. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ქმედებაში კი დანაშაული არც უძებნიათ.

**"არავის აქვს უფლება ადამიანს, თუნდაც ეჭვმიტანილს, მოსამართლის ნებართვის გარეშე ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტაროს. სამხედრო პირებს ერთადერთი, რისი უფლებაც ჰქონდათ, ეს იყო - ხუფენია პოლიციის განყოფილებაში მიეყვანათ. თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ ლევან ხუფენიას აქეთ-იქით ტარება შემოწმების ჩასატარებლად და ამით მისი ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება სხვა არაფერია, თუ არა მისი თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვა**, - ამბობს ლევან ხუფენიას ადვოკატი ზვიად ფოფხაძე, - **რაც შეეხება ავტოავარიის ირგვლივ მოკვლევას, ეს ყველაფერი მაშინ მოგვარდა, როცა ხუფენიას ერთი ნარკოლოგიურიდან მეორეში დაატარებდნენ. პოლიციის გამომძიებლებმა იმთავითვე ისეთი სქემა შეადგინეს, რომლის თანახმადაც ავარია ხუფენიამ მოახდინა. მაგრამ ეს სქემა, გარდა იმისა, რომ მასზე აღწერილი სურათი აბსურდული გახლავთ, ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ უკანონოა, რადგანაც მასზე არც გამომძიებლების და არც მძღოლების ხელმოწერები არ ფიგურირებს, დამსწრეებად მინიშნებული პირების გვარები კი საერთოდ გაურკვეველია, მათ ვერავინ მიაგნებს. სამაგიეროდ, გამოძიებას არ დაუკითხავს არც ერთი მოწმე ჩვენი მხრიდან და არც ერთი თვითმხილველი, რომლებიც შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდნენ. ამ ხალხის ნაწილს ჩვენ მივაგენით, ნაწილმა თავად გვიპოვა და ახსნა-განმარტებები დაგვიწერეს, რომელთა თანახმადაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ლევან ხუფენია ყვება".**

3 ოქტომბერს მომხდარ ავტოავარიაზე ექსპერტიზა, რატომღაც, მხოლოდ 22 ოქტომბერს ჩატარდა. ამ ხნის მანძილზე ხუფენიებს თავიანთ მანქანას უმალავდნენ.

**"დავით თევზაძესთანაც კი დავარეკინე მის მეგობარს, მანქანა დამიბრუნონ-მეთქი, მაგრამ პასუხად მივიღე: ჯერ ფული გადაიხადოსო"**, - ამბობს თამაზ ხუფენია.

ადვოკატის ნაამბობის თანახმად კი, ხუფენიების კუთვნილი "მერსედესი" თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა ოსიაურში, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიაზე მიიყვანეს და იქაურ მოსამსახურეს, ვინმე პაიჭაძეს ისე ჩააბარეს, რომ შედგენილ აქტში მხოლოდ მანქანის ჩაბარების ფაქტია დაფიქსირებული და პაიჭაძის რწმუნება - რომ გამომძიებლის ნებართვის გარეშე, მანქანას არავის გაატანს. ამ ხელწერილს მარტო პაიჭაძე აწერს ხელს. ვინ ჩააბარა მანქანა, რა მდგომარეობაში - არსად არის დაფიქსირებული. ამ აქტის დაწერის შემდეგ თამაზ ხუფენია, გამომძიებლის ნებართვით აღჭურვილი, რამდენჯერმე ჩავიდა ოსიაურში, მაგრამ მანქანა არ გამოატანეს, ბოლოს კი უთხრეს: წარმოდგენა არ გვაქვს, მანქანა სად არისო. საბოლოოდ მანქანა თბილისში, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ საავტომობილო ბაზაზე ისე აღმოჩნდა, გამომძიებლებს ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, საქმის კურსში იყო თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, რომლის ბრძანებითაც მანქანის გადაადგილება მოხდა.

**"ეს კიდევ ერთი უკანონობა, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ ჩაიდინა,** - ამბობს ადვოკატი და კიდევ ერთ დარღვევაზე საუბრობს, - **ექსპერტიზა ავტოავარიის მონაწილე მანქანებს შემთხვევის დღესვე უნდა ჩატარებოდათ, ბოლოს და ბოლოს, დაზიანებული მანქანების აღწერილობა მაინც უნდა გაეკეთებინათ. არაფერი მსგავსი არ მომხდარა. 20 დღის შემდეგ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით კი, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი "ჯიპისთვის" მიყენებული ზარალი 29 ათას 7 ლარად შეფასდა. თუმცა, მე მაქვს ეჭვი და, ვფიქრობ, საფუძვლიანიც, რომ ექსპერტიზაზე სულ სხვა "ჯიპი" გაატარეს. ჯერ ერთი, მანქანა ავარიის შემდეგ არ დალუქულა, რაც თავისთავად დიდი დარღვევაა და ათასი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, მანქანას, რომელსაც ექსპერტიზა ჩაუტარდა და, შესაბამისად, ფოტოები გადაუღეს, არ ეკეთა სახელმწიფო ნომერი. ამასთანავე, ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ავარიის შემდეგ ჯიპმა გაიარა 80 მეტრი, გადაბრუნდა და ამით მიიღო დამატებითი ზიანი. მართლაც, ფოტოებზეც ჩანს, რომ მანქანას, რომელსაც ექსპერტიზა ჩაუტარდა, სახურავი ჩაჭყლეტილი აქვს, თუმცა, უვნებელი, ნაკაწრის გარეშეა დარჩენილი პლასტმასის ციმციმა".**

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს პოზიციას, სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლის ჯონი ქარჩავას თქმით, **"სამწუხაროდ, საქართველოს სამართალდამცველი სტრუქტურების მუშაობა ზოგჯერ იძლევა იმის საშუალებას, რომ დამნაშავემ თავისი უდანაშაულობის მტკიცება დაიწყოს და უდანაშაულო ადამიანებს წაუყენოს ბრალი. აქაც სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მე შემთხვევის ადგილზე არ ვყოფილვარ და ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ დავით თევზაძისთანა და კობა კობალაძისთანა ადამიანები ასე არ მოიქცეოდნენ. უბრალოდ, ამ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლების უყურადღებობასთან გვაქვს საქმე, სწორედ მათ უნდა წაეყვანათ ლევან ხუფენია ნარკოლოგიურში, რასაც თავი ვერ მოაბეს და ცილისწამების საშუალება მისცეს მას".**

როგორც ითქვა, ორივე მხარეს სასამართლოში აქვს სარჩელები შეტანილი. პროცესი უახლოეს მომავალში უნდა დაინიშნოს. სწორედ სასამართლომ უნდა გაარკვიოს, რამდენად გადასწონის ხუფენიასა და მისი ადვოკატის მიერ თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ მოპოვებული მტკიცებულებები სამართალდამცველთა მიერ მიკერძოებით მოკვლეულ მასალებში მოყვანილ არგუმენტაციას.

# „უტას" დირექტორს 30 ათას დოლარს სძალავდნენ

სამართალდამცველებმა თბილისში შპს „უტას" ოფისში, მისი დირექტორის პეტრე ბერიასგან ათასი დოლარის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტები, წარსულში რამდენიმეჯერ ნასამართლევი ბერდია გუგავა, მეტსახელად „თორქა", გიორგი ონიანი და ეთერ მარქავა, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში მუქარის წერილებით, სატელეფონო საუბრებით და უშუალო კონტაქტის დროს ბერიას და მისი ოჯახის წევრების განადგურების მუქარით, 30. 000 აშშ დოლარის ოდენობით ფულს სძალავდნენ. დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*მედია-ნიუსი*

# აფხაზებმა ქართველებს მორიგი ეგზეკუცია ჩაუტარეს

*გუშინ აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონის ქართულ სოფლებში მორიგი ეგზეკუცია ჩაატარა. გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში სეპარატისტთა 40-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება, აფხაზური მილიციის უფროსის აბესალომ საბეკიას ხელმძღვანელობით შევიდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქართულ სოფლებში ჩატარებული ჩხრეკა-შემოწმების მიზეზად აფხაზური მხარე ქართული მხარის მიერ რამდენიმე დღის წინ წაყენებულ ბრალდებას ასახელებს. შეგახსენებთ, სოფელ ორსანტიადან არასამთავრობო ორგანიზაცია" ქართველ და აფხაზ ხელოვანთა კავშირის" თავმჯდომარის გატაცების ორგანიზატორებად ქართველი სამართალდამცველები თავიდანვე აფხაზური კრიმინალური დაჯგუფების წევრებს ასახელებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ გატაცებული დავით ბაძაღუა გამტაცებლებმა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ქართული მხარის ეს ბრალდება აფხაზებმა მაშინვე უარყვეს, გუშინ კი, გატაცებულის საპოვნელად ქართული მოსახლეობა გაჩხრიკეს.

აფხაზური მილიცია ქართულ სოფლებში გუშინ ერთ-ერთი აფხაზური კრიმინალური დაჯგუფების მეთაურს, ვინმე აშხვათავას ეძებდა. აშხვათავა წარმოშობით ოჩამჩირელია, თუმცა, როგორც ამბობენ, საკუთარი დაჯგუფების წევრებთან ერთად გალის ტერიტორიაზე "მოქმედებს". აშხვათავას შესახებ ინფორმაცია და ეჭვი, რომ დავით ბაძაღუა სწორედ მისმა დაჯგუფებამ გაიტაცა, აფხაზურ მხარეს ქართველმა სამართალდამცველებმა მიაწოდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარის, გატაცებული დავით ბაძაღუას მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ყოფნას აფხაზები კვლავ კატეგორიულად უარყოფენ და ამ ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ.

**"გასაკვირი არაფერია, ასეთ შემთხვევებს მიჩვეულები ვართ. აფხაზები ყოველთვის აქეთ გვდებენ ბრალს და თვალში ნაცარს გვაყრიან",** - ასეთია ქართველ სამართალდამცველთა კომენტარები.

ერთი სიტყვით, გატაცებულის ადგილსამყოფელის შესახებ ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი. შეგახსენებთ, რომ დავით ბაძაღუას გატაცებას მოწმე ჰყავს, რომელმაც მომხდარი თავის ჩვენებაში დეტალურად აღწერა. **"სოფელ ორსანტიასთან ორი მანქანა გადაგვიდგა წინ, გადმოვიდნენ შეიარაღებული და რუსულ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი აფხაზები. ბაძაღუას ჯერ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი იძულებით ჩასვეს მანქანაში და გალის ტერიტორიის მიმართულებით სასწრაფოდ გაუჩინარდნენ",** - ასეთი გახლავთ მოწმის, თემურ ქორთუას ჩვენების მოკლე შინაარსი.

**"გატაცებული ბაძაღუას ქართულ სოფლებში ძებნა სეპარატისტების მხრიდან ქართული მოსახლეობის მორიგი ეგზეკუციის ჩატარებისთვის, უბრალოდ, საბაბია",** - ასეთი პოზიცია აქვს ქართულ მხარეს. სამართალდამცველები საკუთარ ვერსიას - ბაძაღუა ნამდვილად აფხაზმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ გაიტაცა და ამჟამადაც აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება - იმით ამყარებენ, რომ აფხაზები, ბაძაღუას სანაცვლოდ, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში, პოლიციის ქვეგანყოფილებაზე თავდასხმის დროს ლიკვიდირებული ორი თავდამსხმელის ცხედარს ითხოვენ.

სხვათა შორის, წალენჯიხაში მომხდარ თავდასხმაში, რომელსაც ხუთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა და შვიდი მძიმედ დაიჭრა, ქართველები მონაწილეობდნენ. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა უკვე დაადგინეს, რომ მათ მიერ ლიკვიდირებული ორი თავდამსხმელიდან - ერთი რამდენიმე თვის წინ რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული სამჯერ ნასამართლევი, 26 წლის გიორგი ლომაიაა, მეორე კი - დომელტი ბულესკირი.

ერთი სიტყვით, ქართველ სამართალდამცველთა განცხადებები იმის შესახებ, რომ რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეულ მსჯავრდებულთა ნაწილი გალის ტერიტორიას აფარებს თავს, მართლდება. "მათ აფხაზები ისევ ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებში გამოიყენებენ", - დარწმუნებულები არიან სამართალდამცველები და აფხაზებისგან იმ გაქცეულ მსჯავრდებულთა გადმოცემას ითხოვენ, რომლებსაც აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებები აფარებენ ხელს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიციამ თბილისში, ავჭალაში, ე.წ. გაზის დასახლებაში შოთა კაჭარავას საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხიდან ამოიღო გამოძიებისთვის გადამალული, ბრალდებულ აკაკი ჩხაიძის კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანა „ვოლვო-940" სახელმწიფო სანომრე ნიშნით რრრ-555. ავტომანქანა, შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურას გადაეცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის პოლიციის პირველი განყოფილების კრიმინალური სამმართველოს თანამშრომელი ბუბაზ შავერდოვი გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეცღონისძიების შედეგად, ფულის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს. როგორც რუსთავის პოლიციის უფროსმა რამაზ ელოშვილმა განაცხადა, შავერდოვი მოქალაქე კახა გოგოხიას 110 ლარს სძალავდა. მომხდარი ფაქტის გამო, სამსახურიდან გაათავისუფლეს რუსთავის პოლიციის პირველი განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი ზურაბ ფარულავა. უახლოეს დღეებში თანამდებობა შესაძლებელია პირველი განყოფილების უფროსმაც დატოვოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხაშურის რაიონის სოფელ ტაშისკარში დააკავეს დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ავტორიტეტი, ე.წ. „კანონიერი ქურდი", ადრე სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის 9-ჯერ ნასამართლევი, თბილისში მცხოვრები ვლადიმერ კოხრეიძე, მეტსახელად „ბუთხუზი", რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მას ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი" აღმოაჩნდა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ეს დანაშაული 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტრო ნარკოტიკების გამსაღებლებთან ბრძოლას აქტიურად აგრძელებს. შსს-ს ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა ბიურომ და კახეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიების დროს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალაში ცნობილი ნარკოგამსაღებელი, ორჯერ ნასამართლევი მეხმან თახაროღლი ასლანოვი და მისი ძმა ნადირ თახაროღლი ასლანოვი დააკავეს. მეხმან თახაროღლი ასლანოვს ჩხრეკისას 4,4 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ოპიუმი" აღმოუჩინეს. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული დანაშაული 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ნადირ თახაროღლი ასლანოვს ჩხრეკისას 920 გრამი "მარიხუანა" აღმოაჩნდა. აღნიშნული დანაშაული 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინწინ, საღამოს საათებში, ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს ზუგდიდის N4-ე საპყრობილეში მყოფი პატიმარი ოთარ ბუთბაია, რომელსაც სხეულის მძიმე დაზიანებები აღენიშნება. იგი რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს. პატიმრის ახლობლები ეჭვობენ, რომ მას სამართალდამცველები ფიზიკურად გაუსწორდნენ. საავადმყოფოს ექიმები აცხადებენ, რომ, შესაძლოა, პატიმარს დაზიანებები ცემის შედეგად ჰქონდეს მიღებული. ციხის ექიმის განცხადებით, მისთვის ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად ექიმების ნებართვაა საჭირო, ბუთბაიას კი, ჯერჯერობით, საუბარი არ შეუძლია. ოთარ ბუთბაია 40 წლის არის, იგი გალის რაიონიდან დევნილია და სასჯელს საქონლის ქურდობისთვის იხდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე დააკავეს ამავე ნაწილის სატანკო ბატალიონის კაპრალი, ყაჩაღობისთვის, გამოძალვისა და ავტოტრანსპორტის გატაცებისთვის ძებნილი, 19 წლის ოთარ დრუჟინინი, რომელმაც 2001 წლის 21 ნოემბერს ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე თანამზრახველებთან — ფიოდოროვთან, ლომიძესთან და პარფენტიევთან ერთად თავს დაესხა ტაქსის მძღოლ თხლაშაძეს და გასტაცა ავტომანქანა „ოპელ-ომეგა", მეორე დღეს კი გამტაცებლებმა ავტომანქანის დაბრუნებისთვის თანხა მოსთხოვეს. სწორედ ამ დროს დააკავა პოლიციამ ფიოდოროვი, ლომიძე და პარფენტიევი, ხოლო დრუჟინინმა გაქცევა მოახერხა. **მედია-ნიუსი**

# რეპორტაჟი (ფოტო) კომენტარებით



ნესტან ნიჟარაძე

რუბრიკას, რომელსაც ხვალიდან, სამშაბათობით შემოგთავაზებთ, მე, ნესტან ნიჟარაძე და ფოტოჟურნალისტი იუსტინა მიელნიკიევიჩი გავუძღვებით.

რუბრიკაში გაერთიანებული რეპორტაჟები იმ თემებს მოიცავს, რომელთა ერთობლიობაც ჩვენი რეალობის კონტექსტს ქმნის. ეს თემები იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მათთან დაბრუნება სწორედ ამ კონტექსტის რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათზე დაფიქრებასაც ნიშნავს.

ჩვენი მიზანი იმ საკითხების და პრობლემების სელექციაა, რომელთა არსებობაც უკანასკნელი წლების ქართული რეალობის ფონზე კანონზომიერებად იქცა. კანონზომიერებად იქცა მათი იგნორირებაც. მიუხედავად ამისა, ისინი ჩვენი დროის ერთგვარ სიმბოლოებად აღიქმებიან და მათ გარეშე ამ რეალობის, შეძლებისდაგვარად, სრული სურათის შექმნა შეუძლებელი იქნება.

პირადად მე რეპორტაჟების ამ სერიაზე მუშაობის სურვილი მაშინ გამიჩნდა, როდესაც ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი. ეს დაბრუნება ჩემთვის კარგად ნაცნობი, თუმცა გაუცხოებული რეალობის თავიდან აღმოჩენის და მიღების აუცილებლობად იქცა. აუცილებლობადაც და სურვილადაც.

იუსტინა მიელნიკიევიჩი პოლონელი ფოტოჟურნალისტია. 2002 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს თბილისში. ფოტოპროექტი, რომელსაც იგი ამჟამად ამზადებს, ამიერკავკასიის ქვეყნებს მოიცავს და საქართველოში გადაღებული ფოტოების წიგნის გამოცემით დასრულდება. მე მისი ფოტოების ნახვის შესაძლებლობა პირველად ჯერ კიდევ მაშინ მომეცა, როდესაც ევროპელი ჟურნალისტებისა და Europe Magazine-ის დაკვეთით რეპორტაჟების სერიას ვამზადებდი საფრანგეთში. ჩვენი თანამშრომლობა კი უკვე აქ, საქართველოში შედგა.

მაშ ასე, ეპიზოდები ქართული რეალობიდან რუბრიკაში „რეპორტაჟი (ფოტო)კომენტარებით".



პანკისის მუსულმანური სასაფლაო



საპროტესტო აქცია გ სანაიას მკვლელობის შემდეგ



საფარის მონასტერი



ალავერდობა



მშრალი ხიდი



სოხუმის სარეაბილიტაციო ცენტრი



მეგრელი მუშები ოჩამჩირეში



პიკის საათი




დიდუბის ბაზრობა



რეპეტიცია



ნოდარ ლადარია

დანაპირებს შესრულება უნდა, ამიტომაც დღეს პრეს-ომბუდსმენის პუბლიკაცია ერთგვარად განსხვავებული იქნება ტრადიციულისაგან. დღეს ერთი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ მოგითხრობთ: ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მონაპოვარი ისიცაა, რომ ქართულ-რუსულ კონფერენციას საერთაშორისო ეწოდება, მით უმეტეს, როცა მას გერმანული ფონდი აწყობს — ამჯერად, საქართველოში უკვე საკმაოდ აქტიურად მოღვაწე ფონდი, გერმანელი მწერლის, **ჰაინრიჰ ბიოლის** სახელობისა. კონფერენციის მთავარი საკითხი შემდეგი იყო: "**მართლმადიდებლობის როლი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში**" და ის თბილისში გაიმართა 23-25 იანვარს.

საქართველოს მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობდნენ ყველასათვის ცნობილი ადამიანები: **ივლიანე ხაინდრავა**, **ლევან ბერძენიშვილი**, **დავით დარჩიაშვილი**, **პაატა ზაქარეიშვილი**, **სოზარ სუბარი**, დეკანოზი **ბასილ კობახიძე**. რუსეთის მხრიდან მოწვეულნი იყვნენ თავიანთ ქვეყანაში რელიგიური სიტუაციის ანალიზით დაკავებული თვალსაჩინო სოციოლოგები, პოლიტოლოგები, პუბლიცისტები. რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა იღუმენი **ინოკენტი პავლოვი**. ეს არ ყოფილა ეგრეთ წოდებული "მეორე რუსეთი" — არანაირი "მეორე" და "ოცდამეშვიდე" რუსეთი არ არსებობს. ეს, უბრალოდ, ჭკვიანი რუსები იყვნენ, ასე ვთქვათ, ნორმალური ხალხი. სხვათა შორის, ამ ნორმალურ ხალხს თავის სამშობლოში სინამდვილეზე ზემოქმედების გაცილებით უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ქართული სამოქალაქო საზოგადოების წევრებს. ამ ვითარების მიზეზთა განხილვა შორს წაგვიყვანდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი თვითონ სტუმრებმა გამოთქვეს:

**"სამწუხაროდ, საქართველოსაგან განსხვავებით, რუსეთს თითქმის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების, ადამიანის უფლებათა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად. საქართველოს მიერ ევროპული ინტეგრაციისკენ აღებული აშკარა კურსი ბუნებრივად გამოიწვევს იმას, რომ ეს ღირებულებები საჯაროდ განცხადდება და განხორციელდება ევროკავშირის მოთხოვნათა საფუძველზე. რუსეთში შექმნილი მდგომარეობის ამგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობა კი არ ჩანს**".

ეს თვალსაზრისი რუსმა სტუმრებმა იმდენჯერ გამოთქვეს, რომ უკვე მიჭირს მისი ავტორების დასახელება. ასეა თუ ისე, აშკარად ჩანს, რომ რელიგიური სიტუაციის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ ვითარებას. უფრო ზუსტად კი რელიგიური სიტუაცია თითქმის ცალსახადაა დამოკიდებული პოლიტიკურ ვითარებაზე. მართლაც, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში რადიკალურად სწორედ პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, რელიგიური სიტუაციის თვალსაზრისით არანაირი საკანონმდებლო ან სხვა რამ ზომები არ მიღებულა. და მაინც, სად გაქრა **ბასილ მკალავიშვილი**? განა ბუნებრივი არ იქნება, ვივარაუდოთ, რომ "გლდანის ეპარქიის" ფენომენი თავისი არსებობისთვის საჭირო ძირითად ენერგიას სწორედ პოლიტიკური კონიუნქტურიდან და ძველი ხელისუფლების ტაქტიკური მეთოდებიდან იღებდა?

იგივე ვითარებაა რუსეთშიც: იღუმენმა ინოკენტი პავლოვმა თავის მოხსენებაში სრულიად ცალსახად განაცხადა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა (სხვათა შორის, რუსეთის მრავალ რეგიონში უკვე საკმაოდ დარღვეული) მხოლოდ ერთ ფაქტორზეა დამყარებული: სამთავრობო ძალების მხარდაჭერაზე. იღუმენმა ისიც მოგვახსენა, რამდენ ნაწილად დაიშლება რუსეთის ეკლესია, როცა მთავრობის მხრიდან მხარდაჭერა შეწყდება.

ამ კონტექსტში სასარგებლო იქნება მოვიყვანოთ ერთი ციტატა გიგი თევზაძის წიგნიდან "საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება":

**"1997-98 წლისათვის მოქალაქეთა კავშირში გაჩნდა იდეა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკაში გამოყენება უპრიანი იქნებოდა. გეგმა შემდეგნაირად აეწყო: ხელისუფლება მისცემდა მართლმადიდებელ ეკლესიას შეღავათებს, ეკლესიას ეს მოეწონებოდა და მთლიანად დაუჭერდა მხარს მოქალაქეთა კავშირს. ამ პროექტის ავტორად ხან ჟვანია სახელდება, ხან შევარდნაძე... შედეგად მივიღეთ სახელმწიფოსა და ეკლესიის შეთანხმება, რამაც ეკლესია პოლიტიკის დამხმარედ კი არა, პოლიტიკის სუბიექტად გადააქცია, როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო. ანუ, როგორც შუა საუკუნეებში, ჩვენ მივიღეთ სახელმწიფო, რომელიც თავის პოლიტიკას ატარებს და ეკლესია, რომელსაც ასევე თავისი პოლიტიკა აქვს**".


ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ეს ციტატა ირიბად უკვე პასუხობს შეკითხვას, რომელიც გამომდინარეობს იღუმენ ინოკენტის ინფორმაციიდან: *რატომ უნდა შეწყდეს ოდესმე მთავრობის მხრიდან ეკლესიის მხარდაჭერა?*

გავიხსენოთ, რა კონტექსტში მიმართავენ პოლიტიკოსები იმ თემატიკას, რომელიც მათ რელიგიურად ეჩვენებათ. აქ ყველაზე მკაფიო მაგალითია სააკაშვილის ცნობილი "დამთხვევები": პარლამენტის დარბაზში შესვლა მიქაელ მთავარანგელოზის დღესასწაულზე და შევარდნაძის გადადგომა გიორგობის დღეს. ინტენცია მარტივია: წინასწარ მიჩნეულია, რომ რელიგიური ღირებულებები მსმენელს მყარად აქვს გამჯდარი ცნობიერებაში — თუ პოლიტიკოსის მოქმედება რაიმე (თუნდაც ხელოვნურ ან ყალბ) შესაბამისობაში მოდის მყარ ღირებულებებთან, ეს დამატებითი შანსია, რომ პოლიტიკოსი მსმენელის დადებით რეაქციას მიიღებს. ამგვარი მექანიზმის ამოქმედება პოლიტიკოსისთვის მაშინაა აუცილებელი, როცა იგი საკუთარი გავლენის დამკვიდრების პროცესშია. რაც უფრო ძლიერია მთავრობა, მით უფრო ნაკლებად სჭირდება მას ეკლესია. ურთიერთობა მეტად ნიშანდობლივია: სახელმწიფოსთვის ეკლესია იდეალური იარაღია გარდამავალ პერიოდში, ეკლესიისთვის კი გარდამავალი პერიოდი იდეალური საარსებო გარემოა. ამიტომაც, ეგრეთ წოდებული პუტინის რუსეთი, რომელიც დღეს თავისი "აღმავლობის" სტადიაშია, მნიშვნელოვნად ემყარება ეკლესიის ხელოვნურად შექმნილ ავტორიტეტს. როგორც კი პუტინის მთავრობა დაიპყრობს მედიას, მოაშთობს ოლიგარქებს, ერთი სიტყვით, დაასრულებს ჩამოყალიბების პროცესს, ეკლესიური ავტორიტეტის ხელოვნური შენარჩუნება მისთვის სრულიად ზედმეტი ტვირთი იქნება.

მაგრამ ჯერჯერობით პუტინი უარს არ ამბობს ეკლესიის ყავარჯნობაზე. რელიგიური თემატიკის მკვლევარმა, პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ვერხოვსკიმ** შემოგვთავაზა პუტინის მიერ გასული შობის დღესასწაულის აღნიშვნის ანალიზი. 7 იანვრის ღამეს ვალდიმირ პუტინი გარეგნული მოკრძალებით შემოსილი ეწვია ქალაქ სუზდალის ერთ-ერთ ტაძარს. ერთი შეხედვით, პრეზიდენტის ეს ნაბიჯი ოფიციალურ ბრწყინვალებაზე უარსა და ღრმა შინაგან რელიგიურობაზე უნდა მიუთითებდეს. მაგრამ საქმე უფრო რთულადაა. სუზდალი ითვლება რუსეთში არსებული ერთ-ერთი ალტერნატიული რელიგიური დაჯგუფების, "რუსეთის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიის" უმნიშვნელოვანეს ცენტრად (მოსკოვის საპატრიარქოსთან მისი დაპირისპირება დოგმატური კი არა, ადმინისტრატიული ხასიათისაა). პუტინი საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფ იმ ტაძარში მივიდა სალოცავად, რომლის წინამძღვარი ცნობილია ამ ალტერნატიული დაჯგუფების მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით. ასე რომ, პრეზიდენტის ეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის გაბატონებული ეკლესიის ცალსახა მხარდაჭერას გამოხატავს. თანაც ცნობილია, რომ ამგვარი გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მიიღო მასთან განსაკუთრებულად დაახლოებული სასულიერო პირის, იღუმენ **ტიხონ შევკუნოვის** რჩევით. ეს მღვდელი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში სწორედ პუტინთან სიახლოვის წყალობით სარგებლობს განსაკუთრებული პრივილეგიებით, მისი გავლენა გაცილებით სჭარბობს იმ უფლებებს, რომლებსაც საეკლესიო იერარქია უწესებს დეკანოზს და მასთან კამათს მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტებიც ერიდებიან. როგორც ვხედავთ, ამა თუ იმ სასულიერო პირის მნიშვნელობას უკვე არც მისი პირადი ნიჭი თუ მადლმოსილება განსაზღვრავს და არც ტრადიციულ იერარქიაში მისი ადგილი. მთავარი ფაქტორი ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირადი კავშირია.

ალექსანდრე ვერხოვსკის აზრით, სახელმწიფო იყენებს ეკლესიას, როგორც საზოგადოების კონსერვატიულ ელემენტს. ამაში არაფერია გასაკვირი, მაგრამ საინტერესოა, რატომ აირჩია მან სწორედ ეს კონსერვატიული ელემენტი და არა, მაგალითად, ოჯახი, როგორც ეს დასავლეთშია. ამ კითხვაზე პასუხი მოსახლეობის სიღარიბეში უნდა ვეძებოთ: ოჯახი, თუმც კონსერვატიული ინსტიტუტია, ყოველთვის გულისხმობს კეთილდღეობას როგორც დადებით ღირებულებას, მაშინ როცა ეკლესიური ცნობიერების ფარგლებში თავისუფლად შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ამქვეყნიური სიმდიდრე ფუჭია. კიდევ ერთი საკითხია საინტერესო: როგორაა შესაძლებელი, რომ ეკლესიურ მორწმუნეთა შედარებით მცირე რაოდენობამ საზოგადოებაში ასეთი შემაკავებელი ფაქტორის როლი იკისროს?

სოციოლოგმა და ისტორიკოსმა **ნიკოლაი მიტროხინმა** მეტად საგულისხმო ცნობები მოგვაწოდა ამასთან დაკავშირებით: გამოკვლევის თანახმად, რუსეთის ქრისტიანულ მოსახლეობაში ეკლესიურ მართლმადიდებელთა წილი სულ რაღაც 2%-ის ტოლია. აქ იგულისხმება ადამიანები, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ ღვთისმსახურებაში, ჰყავთ მოძღვარი და რომელთათვის ეკლესიური მოძღვრება მთავარ ცხოვრებისეულ ღირებულებას წარმოადგენს. ძალიან საეჭვოა, რომ თავის პოლიტიკურ გავლენას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ამ ორპროცენტიანი ერთგული მრევლით აღწევდეს. საჭიროა რაღაც ახალი რიტორიკის დამატება, რათა ამ გავლენამ ანგარიშგასაწევი მოცულობა მიიღოს. მაგალითად მოვიყვანოთ ერთი ადგილი სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი მეორის სიტყვიდან, რომელიც მან ქ. სამარის საზოგადოებრიობასთან შეხვედრისას წარმოთქვა (1999 წელი):

"**ხშირად ისმის ხმები, რომ ჩვენი ნაციონალური იდეა უნდა ვიპოვოთ. ჰოდა, ამ ნაციონალურ იდეას სადღაც ოკეანის გადაღმა ან დასავლეთ ევროპაში ეძებენ. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ნაციონალური იდეა ჩვენს რთულსა და დიდებით მოსილ წარსულშია, იმაში, რაც გადაიტანა რუსეთმა თავისი ისტორიის ათასწლიანი პერიოდის განმავლობაში. უნდა დავუბრუნდეთ იმ ცხოვრების საფუძველს, რომლის მიხედვითაც ცხოვრობდა ჩვენი ხალხი, როცა ღმერთშემოსილი, მორწმუნე და ზნეობრივად სპეტაკი იყო**".

გასაგებია, რომ როცა მარტო ქრისტიანობის ძირითადი შინაარსით ვერ გახვალ ფონს, როცა შენი ხალხი აღარ არის ღმერთშემოსილი, მორწმუნე და ზნეობრივად სპეტაკი, ყოველთვის უნდა მოიმარჯვო ეთნოცენტრიზმი. კიდევ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი: შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპა ამ სიტყვებში აშკარად უარყოფით, უცხო, "ჩვენთან" შეუთავსებელ ფენომენებადაა მოხსენიებული: რუსეთის საპატრიარქოს ძირითადი დოქტრინა იზოლაციონისტურია.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენში ასეთი დახვეწილი დისკურსი გავრცელებული არაა და ქრისტიანობისა და ნაციონალიზმის შეუღლებამ შეიძლება კომიკური, უფრო სწორად, შავი იუმორის ელფერი მიიღოს: "*რა ბედნიერებაა, რომ სოხუმის დაცემის დღე ჯვართამაღლების წმიდა დღესასწაულს დაემთხვა!*". აი, სად უნდა ვეძებოთ სააკაშვილის ცნობილი "დამთხვევების" ფესვები, რომ არაფერი ვთქვათ დავით აღმაშენებლის სულთან ისეთ უშუალო საუბარზე, როგორიც ნებისმიერ ციმბირელ თუ აფრიკელ შამანს შეშურდებოდა.

როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ალიანსი ასეთ ფორმებს იძენს, როდესაც ეს ფორმები განსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ უკვე აღწერილი მარტივი გათვლით, ჩვენს რელიგიურობას ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება: პარტნიორები — სახელმწიფო და ეკლესია — საოცრად ემსგავსებიან ერთმანეთს. ერთი მხრივ, ჩინოვნიკები ბედნიერების ცრემლებს ღვრიან, თუ მათ კაბინეტში დაკიდებულ ხატებზე სინესტის წვეთებს შეამჩნევენ, ხალხთან საუბარში კი სულ უფრო დიდ ადგილს უთმობენ ცარიელ სიმბოლიკას. მეორე მხრივ, საეკლესიო სტრუქტურები პარალელურად იღებენ თავიანთ თავზე სახელმწიფოსთვის დაწესებულ რეპრესიულ ფუნქციებს. ამის საბუთად თუნდაც ის ფაქტი იკმარებს, რომელიც **ნინო ცინცაძემ** მოიყვანა 30 იანვრის პუბლიკაციაში - *აქედან წიგნის დაწვამდე ერთი ნაბიჯია*: "**ბაკურ სულაკაურს ცოტა ხნის წინ საბაჟოდანაც დაურეკეს, აქ თქვენი წიგნები, "ბიბლიის ატლასი" შემოვიდა და მის გამოტარებაზე საპატრიარქოს ნებართვა თუ არსებობსო!**" საიდან მოუვიდათ საბაჟოს თანამშრომლებს იდეა, რომ მათ კიდევ რაღაცით უნდა იხელმძღვანელონ, გარდა საქართველოს კანონმდებლობისა? ამ ეპიზოდში (ვისურვებდი, ეს მართლაც ეპიზოდი ყოფილიყო) საპატრიარქო გამოდის როგორც სახელმწიფო სტრუქტურა. ქრისტეს ეკლესია კი სადღაა?

დაახლოებით იგივე ვითარება დაგვიხატა თავის გამოსვლაში პოლიტოლოგმა **სოფიო ტიმოფეევამ**: "**რუსეთის დღევანდელ რეგიონულ მმართველობაში გავრცელებულია შემდეგი ხუმრობა: თუ კომუნისტების დროს მარტო უნდა მისულიყავი პარტაქტივის კრებებზე, ახლა ცოლ-შვილთან ერთად უნდა გამოცხადდე საუფლო დღესასწაულებზე**".

სარწმუნოებისადმი ასეთი ფორმალური დამოკიდებულება უკვე ყოფით დონეზეც შეიმჩნევა. საქართველოში დეკლარირებული მართლმადიდებლების უმრავლესობას "მარშრუტკაში" პირჯვრის წერა შინაგანად სრულიად ათავისუფლებს წირვაზე დასწრების მოვალეობისაგან. ასევე საინტერესოა "სამარხვო ნამცხვრების" თითქმის სრული ასორტიმენტი თბილისის კაფეებში: ეს ნამცხვრები გემოვნების ისეთივე მდიდარ სპექტრს გვთავაზობენ, როგორც მათი სახსნილო ვარიანტები. სამაგიეროდ იკარგება მარხვის, როგორც თავისუფალი სარწმუნოებრივი აქტის, როგორც მსხვერპლშეწირვის საზრისი. მარხვა უკვე უფლის მიმართ თავისუფლად შეწირული მსხვერპლი კი არა, მრევლისაგან აკრეფილი გადასახადია, რომელსაც მრევლი კი არ იხდის, არამედ, ძველი საბჭოთა ჩვეულების მსგავსად, რაღაც უხილავი სტრუქტურა რეგულარულად უქვითავს მას ხელფასიდან.

ნურავის ეგონება, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო კავშირის პირობებში ქრისტიანული სარწმუნოება გაძლიერდება: პირიქით, მისი აღსრულება გაცილებით უფრო ადვილი იქნება, რადგან სარწმუნოებრივი ცხოვრება თავისთავად გადაგვარდება რეგლამენტირებული მოთხოვნების ერთხელ და ზუსტად დადგენილ სიად. ამის მაგალითები უკვე ყოფილა ისტორიაში...

ახლა კი გასაგები ხდება, რატომ ლაპარაკობდა ასე მშვიდად მართლმადიდებელი იღუმენი, ინოკენტი პავლოვი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მომავალი დანაწევრების შესახებ.

ჯერ ერთი, ცალკეული დაჯგუფებები, რომლებიც მომავალში ერთმანეთისგან სრულიად გამოყოფილ წარმონაქმნებად იქცევიან, უკვე არსებობს რუსეთის ეკლესიაში. ასე რომ, მისი ერთიანობა ისედაც წმინდად ფორმალურია და გარეგან ფაქტორზეა დამოკიდებული.

მეორეც, საეკლესიო განხეთქილებაში საშიში მართლაც არაფერია, რადგან ქრისტიანული ჭეშმარიტება ყოველთვის თავისუფალი არჩევანია და სულაც არ გულისხმობს უკვე ნახსენები მარტივი წესების ერთობლიობას, რომელსაც ადამიანები ძალიან ადვილად ასრულებენ, ან სულაც არ ასრულებენ, ხოლო პოლიტიკოსებს იმის მიხედვით ირჩევენ, რამდენად არის მათ ზეპირ გამოსვლებში წარმოდგენილი შესაბამისი ტერმინოლოგიის კომპლექტი.

გახდება თუ არა რუსეთი ნაკლებად ქრისტიანული ქვეყანა, თუ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია რამდენიმე დამოუკიდებელ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ სტრუქტურად დაიშლება? ამ კითხვაზე პასუხი არაა თავისთავად ცხადი. მით უმეტეს, რომ სრულიად დაუდგენელია, კონკრეტულად რას ნიშნავს ქრისტიანული ქვეყანა და რა სოციალური მახასიათებლებია აუცილებელი, რომ სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ადამიანი მართლმადიდებლად მიიჩნიოს. ცხადია, რომ თუ რომელიმე პოლიტიკოსი გაცხარებით იცავს მართლმადიდებლობას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგივე პოლიტიკოსი სერიოზული პრობლემის წინაშე არ აღმოჩნდება, თუ მას კატეხიზმოდან დაუსვამ რომელიმე ელემენტარულ შეკითხვას. ვითარება დაახლოებით ისეთივეა, როგორსაც სოფიკო ჩხაიძე აღწერს იმავე 30 იანვრის ნომერში: "**ჩვენმა ფოტორეპორტიორმა კი ძალიან ისიამოვნა, საგზაო წესების ირგვლივ გუშინ ჩატარებული გამოცდისას ბილეთებში თავჩარგულ, აწითლებულ "გაიშნიკებს" რომ უყურებდა — ნახონ ერთი, როგორია, მოსახვევში რომ ჩასაფრდებიან ხოლმე**".

დიახ, საგზაო წესების არმცოდნე "გაიშნიკზე" უფრო ხშირია ჩვენში მართლმადიდებლობის დამცველი და სარწმუნოების საწყისთა არმცოდნე პოლიტიკოსი. გურამ შარაძე გავიხსენოთ, რომელიც პირდაპირ ეთერში ამტკიცებდა, საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი ეპისკოპოსი არააო. მაგრამ ამაზე არავინ ამბობს რამეს...

ქართულ მედიაში რელიგიურ თემაზე არსებულ ტაბუს ალბათ იგივე წარმოშობა აქვს, როგორიც გიგი თევზაძის წიგნიდან მოყვანილ ციტატაშია აღწერილი. ამ ტაბუს მიუძღვნა თავისი მოხსენება ჟურნალისტმა **სოზარ სუბარმა**. მოხსენებაში, კერძოდ, ნათქვამია: "**2002 წელს სტუდენტების ჯგუფმა ჩაატარა ათამდე ჟურნალისტური გამოძიება, რომელთაგან 2 საპატრიარქოსთან იყო დაკავშირებული. ამ ორი გამოძიების დაბეჭდვა სერიოზული პრობლემა გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გამოძიებებიდან ეს ორი ყველაზე ხარისხიანი იყო**".

ამგვარი ცენზურა ორ მიზანს აღწევს: ჯერ ერთი, იჩქმალება საყოველთაო რელიგიური უმეცრება, მეორე — მკვიდრდება სასულიერო პირთა იმუნიტეტი არა მარტო საქართველოს კანონმდებლობის, არამედ ზოგადი ადამიანური მორალის წინაშე. ამის დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ადგილი ნინო ცინცაძის ხსენებული სტატიიდან: "**ბორჯომ-ბაკურიანის მთავარეპისკოპოსის, სერაფიმეს კურთხევით დაიბეჭდა რუსულიდან თარგმნილი ბროშურა, რომელიც ქართულ სახელმწიფო სკოლებში ორ-ორ ლარად გაიყიდა. თავი დავანებოთ იმას, რომ ბროშურა ყოველგვარი საავტორო უფლებების დარღვევითაა დაბეჭდილი, თავი დავანებოთ იმასაც, რომ განათლების სამინისტროს ბრძანებით, სკოლებში არანაირი ლიტერატურის გაყიდვა არ შეიძლება და დავსვათ კითხვა: რატომ უნდა ახვევდნენ ბავშვებს თავს რუსული, ფანატიკური იდეოლოგიით დატვირთულ მდარე ხარისხის ტექსტს, სადაც ტყუილების მეტი არაფერი წერია?**"

მაგრამ ნინო ცინცაძის სტატია ხომ დაიბეჭდა! და ეს მინდა მივულოცო "24 საათის" მკითხველს. როგორც ვხედავთ, რელიგიურ თემატიკასაც ეხსნება ტაბუ. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე წერას საკმაოდ ხანგრძლივი მომზადება და გამოცდილება სჭირდება, მაგრამ ვინც არ დაიწყებს, ის ვერც დაასრულებს. ნინო ცინცაძის სტატია ნამდვილად წარმატებული დასაწყისია და რუბრიკის სათაური "თვალსაზრისი", რომელსაც ერთგვარი გაუბედაობის გემო დაჰკრავს, ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტად მიმაჩნია. სტატიაში მოყვანილი აზრები, მიუხედავად მათი სიმწვავისა, მართლაც ქრისტიანული, ყოველგვარი სიყალბისადმი შეურიგებელი სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

იმედია, რომ საქართველოსაც დაუდგება დრო, როცა არავინ აურევს ერთმანეთში ქრისტეს ეკლესიასა და საპატრიარქოს, ღვთის სიტყვასა და რომელიმე კონკრეტული ეპისკოპოსის გამონათქვამს.

ბოლოს კი მადლობა მინდა გადავუხადო ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის კავკასიური ოფისის მესვეურებს, **ვალტერ კაუფმანს**, **ნინო ლეჟავასა** და სხვებს, თან ჩვენი მომავალი სასურველი ცხოვრების ერთ-ერთ დევიზად კონფერენციის ერთ-ერთი კოორდინატორის, თეოლოგ **ლევან აბაშიძის** სიტყვები მოვიყვანო: "**სამუდამოდ უნდა დასამარდეს აზროვნების ის სტილი, რომელიც დღეს გაბატონებულია ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა შორის: ჩვენ მეტნი ვართ, ამიტომ მეტი უფლებები უნდა გვქონდეს**".






## თეატრები

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"ზამთრის ღამის სიზმარი"
რეჟისორი დავით ანდღულაძე
(ოტია იოსელიანის "ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის" მიხედვით)
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ჯოზეფ ოზბორნი
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
"90-იანი... ადამიანის ხმა"
ავტორი და რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

## კინო

**ამირანი**
"ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება"
დას: 10:00; 13:30; 17:00; 21:00 სთ.
ფასი: 5-12 ლარი

**რუსთაველი**
"ერთხელ მექსიკაში"
დას: 12:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

"ძალიან საშიში კინო"
დას: 14:00; 16:00 სთ

## გამოფენები

**სურათების ეროვნული გალერეა**
ზაალ ბაჩანაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა 14 საათზე
ეძღვნება მხატვრის დაბადებიდან 50 წლისთავს

*მოკლედ*

## ახალი ალბომი



გამოვიდა ირაკლი ჩარკვიანის მორიგი სტუდიური ალბომი "სავსე". ალბომში შესულია თოთხმეტი ახალი კომპოზიცია. კომპაქტ-დისკების რაოდენობა შეზღუდულია და მსურველებს მათი შეძენა მხოლოდ "ლიტერატურულ კაფეში" შეუძლიათ. კომპაქტ-დისკის ფასი 11 ლარია. ***24 საათი***

## პედაგოგები მოითხოვენ

თბილისის მუსიკალურ-საგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებს არ იზიარებენ და უახლოეს დღეებში პრეზიდენტ სააკაშვილს თხოვნით მიმართავენ. საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები ხელმოწერებს უკვე აგროვებენ, რათა კულტურის სამინისტრო დამოუკიდებელ უწყებად დარჩეს.

როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, დაუშვებელია კულტურის სამინისტროს, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის ერთ უწყებად გაერთიანება, ვინაიდან თითოეულ უწყებას დამოუკიდებლადაც უამრავი პრობლემა აქვს. "პრობლემების მოგვარება ვერც ერთი ამ უწყების ხელმძღვანელობამ დღემდე ვერ მოახერხა, გაერთიანების შემთხვევაში კი, უფრო სავალალო შედეგებს მივიღებთ", - ვარაუდობენ მუსიკალური სამყაროს წარმომადგენლები.

მათივე განცხადებით, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულება გარდაუვალი იქნება, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტების გაერთიანება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან უფრო მიზანშეწონილია. შეგახსენებთ, რომ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლება სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას აპირებს, რაც სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სამინისტროების გაერთიანებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ტურიზმისა და სპორტის დეპარტამენტების ხელმძღვანელებიც კულტურის სამინისტროსთან გაერთიანების წინააღმდეგნი არიან. ***მედია-ნიუსი***

## წლის მნიშვნელოვანი პერსონა

მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი, მოცეკვავე ნიკოლოზ ცისკარიძე რუსეთის საქმიან, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღვაწლის შეტანის გამო, "წლის მნიშვნელოვან პერსონად" აღიარეს. ცისკარიძესთან ერთად დასახელებულია კიდევ 34 ცნობილი პიროვნება, მათ შორის: ნიკოლაი ბასკოვი (რუსეთის დამსახურებული არტისტი), ვლადიმირ კრამნიკი (მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში), ალექსეი რატმანსკი (დიდი თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი), სტანისლავ ბელკოვსკი (პოლიტოლოგი) და სხვები.

ცნობილმა რუსულმა ჟურნალმა "ომმა" რუსეთის ბიზნეს-კონსალტინგთან ერთად განახორციელა პროექტი "35-დან 35", რომელმაც გამოავლინა 35 პიროვნება, რომელთა ასაკიც 35 წელს არ აღემატება. ორგანიზატორების აზრით, ეს ის თაობაა, რომელსაც უნიკალური გამოცდილება გააჩნია.

პროექტი ყოველწლიური იქნება. თებერვალში კი ჟურნალ "ომის" სპეციალური ნომერი გამოვა, რომელშიც განთავსებული იქნება გამარჯვებულების ფოტოები. ასევე შეიქმნება ტელე-ჩანახატის ციკლი ამ ადამიანების შესახებ. ***ინტერ-პრესი***

# შესაძლო ცვლილებები კულტურის პოლიტიკაში

**1. ემხრობით თუ არა კულტურის სამინისტროს, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტების გაერთიანებას?**
**2. როგორია ამ სახელმწიფო უწყებათა გაერთიანების თქვენეული ვერსია?**





**სესილი გოგიბერიძე**
**კულტურის ყოფილი მინისტრი**

**1.** მე ვფიქრობ, ეს გაერთიანება სავსებით შესაძლებელია, იმიტომ, რომ არის ისეთი საკითხები, რაც საერთოა ყველა ამ დარგისათვის. ამ პრინციპების ირგვლივ თუ მოხდება გაერთიანება, პრინციპში ეს შესაძლებელია. თანაც, ამის პრაქტიკა უკვე არსებობს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს მეზობელ სომხეთში. სომხეთში გაერთიანებულია სპორტი, კულტურა და ახალგაზრდობის საქმე; ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებობს კიდევ ამის პრაქტიკა. ინგლისში ერთადაა წარმოდგენილი კულტურა, სპორტი და მედია და ა.შ. მოკლედ ეს არის სრულიად შესაძლებელი, უბრალოდ უნდა იყოს რაღაც პრინციპების ირგვლივ გაერთიანება. კონკრეტულად, საერთო პრობლემატიკა, ვთქვათ, ეს არის ქველმოქმოქმედებისა და სპონსორობის შესახებ კანონი, რომელიც ყველა ამ დარგისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია; ეს არის "ეროვნული ლატარეას" შესახებ კანონი, ესეც სასიცოცხლოდ აუცილებელია. რასაკვირველია, საფრთხეც არის ამ გაერთიანებაში. მაგალითად, რომელიმე დარგს შეიძლება მოაკლდეს ყურადღება და ამ შემთხვევაში, მე, როგორც კულტურის გულშემატკივარი, კი ვისურვებდი, რომ ყოფილიყო კულტურის სამინისტრო ცალკე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს გაერთიანების ეს ვარიანტი მიუღებელია. პირიქით - სავსებით მისაღებია. მაგრამ ერთი მომენტია. კულტურა მაინც, ყველა ამ სამივე დარგს შორის, ყველაზე ეროვნულია. მართალია, ყველა დარგი ეროვნულია, სოფლის მეურნეობაც ეროვნულია, მაგრამ კულტურა არის ყველაზე უფრო მეტად თვითმყოფადობის მაჩვენებელი დარგი. გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც საქართველო ამდენი გლობალური ორგანიზაციის წევრი ხდება (ამ ორგანიზაციებს საკუთარი მოთხოვნები აქვთ), კულტურაზე შეიძლება მოხდეს ძალიან დიდი არასასიამოვნო ზეგავლენა. ამიტომ, კულტურას სჭირდება ძალიან დიდი სიფრთხილე და შესაბამისად, ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფოს რომ ჰქონდეს ცალკე უწყება, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ თუ ამის საშუალება არ არის, რეალურად, გაერთიანებაც, ამ ეტაპზე მისაღებად მიმაჩნია.

**2.** ჩემი აზრით, გაერთიანების მთავარი მიზანი ის არ უნდა იყოს, რომ ვთქვათ, შემცირდეს სახელმწიფო მოხელეთა და განსაკუთრებით, ხელმძღვანელ პირთა რაოდენობა. უბრალოდ, კულტურასა და ტურიზმს ის საერთო აქვს ჩვენთან, რომ ტურისტების მოზიდვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება კულტურული მემკვიდრეობაა. მიზანი უნდა იყოს, ყველა დარგისთვის აუცილებელი კანონების მიღება და არ უნდა შეიქმნას ისეთი მონსტრი, რომლის მართვაც იქნება შეუძლებელი. ანუ, ზოგიერთი მიმართულებისა და საკითხის გადანაწილება შეიძლება. სამინისტრომ უნდა დაიტოვოს, ჩემი აზრით, მხოლოდ პოლიტიკის წარმართვის ფუნქცია და როგორიცაა, კონკრეტული პროგრამები, ამისთვის შეიძლება სახელმწიფო ფონდი შეიქმნას. პროექტების დაფინანსება უფრო ნაკლებად უნდა იყოს სამინისტროს საქმე. სამინისტროს საქმიანობა კანონების შემუშავება, კულტურის პოლიტიკის საკითხების წაყვანა უნდა იყოს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ფონდი ცალკე უნდა არსებობდეს. იქ საზოგადოების წარმომადგენლები უნდა გაერთიანდნენ. მართალია, ჩვენ ეს გვქონდა პრაქტიკაში, ოღონდ, სამინისტროს ფარგლებში იყო. ჩემი აზრით, ფონდი ცალკე უნდა არსებობდეს, მით უმეტეს, თუ კულტურის სამინისტრო და დეპარტამენტები გაერთიანდება. ამასთან ერთად, აუცილებელია პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა. ანუ, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ის პროგრამა, რომელიც პრიორიტეტულად მიაჩნია. მაგრამ, სამაგიეროდ, პრიორიტეტულ მიმართულებას, განვითარების ყველანაირი საშუალება უნდა შეუქმნას.

**გია ბუღაძე**
**სამხატვრო აკადემიის რექტორი**

**1.** ვემხრობი. განსაკუთრებით ვემხრობი ტურიზმის დეპარტამენტისა და კულტურის სამინისტროს გაერთიანებას. ეს მიღებული ფორმაა ყველა განვითარებულ, ნორმალურ ევროპულ ქვეყანაში. ასეა ესპანეთში, საფრანგეთში და ასეა ნაწილობრივ, იტალიაში. უფრო დიდი კულტურის ქვეყნები დასავლურ სამყაროში, მე არ ვიცი. სპორტთან დაკავშირებით გარკვეული კორექტივები იქნება შესატანი და, ალბათ, დროთა განმავლობაში ამაზე მუშაობა მოგვიწევს. რაც შეეხება ძეგლთა დაცვას, მე ვემხრობი მის ცალკე გასვლას. ორიგინალური ამაში არ ვარ. მე მგონია, რომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი და ძალიან გაძლიერებული მისი ფუნქციებით და როლით. ის უნდა იყოს სახელმწიფოსთან პირდაპირ კავშირში. გარკვეული თვალსაზრისით, პრიორიტეტადაც უნდა იქცეს, თორემ, ამოდენა მონსტრში (კულტურის სამინისტროში გაერთიანებული სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტებს ვგულისხმობ), ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ჩაიკარგებოდა, ასე მგონია.

**2.** როგორც აღვნიშნე, ვემხრობი გაერთიანების ამ ფორმას, უბრალოდ, იქ არის კორექტივები შესატანი სპორტთან დაკავშირებით. ტურიზმს რაც შეეხება, სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი გაერთიანება კულტურის სამინისტროსთან. ოღონდ, უფრო მეტი დამოუკიდებლობა, თუ მთლიანი დამოუკიდებლობა არა – ძეგლთა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. ანუ, სამინისტროს დონეზე ვხედავ ძეგლთა დაცვის სფეროს. სპორტთან დაკავშირებით, თავს შევიკავებდი. მე პირადად, ასეთ მაგალითს მოვიყვანდი - მილანის "ლა სკალას" ინახავს არც მეტი არც ნაკლები, სტადიონი "სან სირო". ასე რომ, იტალიაში, ამ ურთიერთთანამშრომლობის მაგალითი არის. მაგრამ იქ მუშაობს ქველმოქმედების კანონი კულტურის სფეროში. ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს არ მუშაობს. ჩვენმა საზოგადოებამ, სამწუხაროდ, ჯერ ვერ შექმნა კანონი ქველმოქმედების შესახებ. კულტურის განვითარებას რაც შეეხება, პრიორიტეტად უნდა იქცეს: ძეგლთა დაცვა, კულტურული მემკვირეობის დაცვა და კულტურული აღზრდა. ეს არის ჩემთვის ხაზგასმით მნიშვნელოვანი. და კიდევ: უნდა იმუშაოს ქველმოქედების კანონმა თანამედროვე ხელოვნებაზე.

# ახლო აღმოსავლეთი ქართველი მეცნიერისა და დიპლომატის თვალით

**გამოიცა რევაზ გაჩეჩილაძის ახალი წიგნი**

არჩილ გეგეშიძე

ერთ ინგლისელ ფილოსოფოსს აქვს ნათქვამი: "არის წიგნები, რომელსაც გემო უნდა გაუსინჯო, ზოგიც უნდა გადაყლაპო, ხოლო იშვიათად შეხვდები წიგნს, რომელიც უნდა დაღეჭო და გადახარშო". ვფიქრობ, ამ უკანასკნელ კატეგორიას განეკუთვნება რევაზ გაჩეჩილაძის წიგნი "ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა", რომელიც რამოდენიმე დღის წინათ გამომცემლობა "დიოგენემ" გამოსცა. რევაზ გაჩეჩილაძე ამჟამად ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია. ამავე დროს, იგი დღეს ადამიანის გეოგრაფიაში მომუშავე ყველაზე პროდუქტიული ქართველი მეცნიერია. იგი მრავალი სამეცნიერო შრომის და 17 წიგნის ავტორია, რომელთა შორის, ოქსფორდში, ინგლისურ ენაზე გამოცემული ნაშრომი "ახალი საქართველო" - ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენი ქვეყნის შესახებ გამოცემულ წიგნებს შორის.

დღეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, რომელსაც საქართველო უშუალოდ ემეზობლება, ულმობელი დაპირისპირების ასპარეზია და აგრესიული ფუნდამენტალიზმის ექსპორტით მსოფლიო მშვიდობასაც უქმნის საფრთხეს. ამავდროულად, ეს რეგიონი ერთგვარი საცდელი პოლიგონიც არის, სადაც კონფლიქტების მოგვარების გზებისა და მოდელების, ახალი დემოკრატიული ინსტიტუტების, ახალი ფასეულობების დამკვიდრების პროცესთა აპრობაცია ხდება. ამ ფონზე რევაზ გაჩეჩილაძის ახალი წიგნი განსაკუთრებით აქტუალურია. ავტორი, გარდა იმისა, რომ უზარამაზარ სამეცნიერო ინფორმაციას ფლობს ახლო აღმოსავლეთის შესახებ, ამავე დროს, აღნიშნულ მოვლენებს წლების მანძილზე რეგიონის შიგნიდან ადევნებს თვალყურს. ასევე, ავტორი სვამს დიაგნოზს, კითხვებს, მაგრამ არ იძლევა რეცეპტს, კითხვებზე პასუხს. ეს შეგნებულად ხდება და იმით აიხსნება, რომ, ავტორს, როგორც ჩანს, სურს არსებული ვითარების ახლებურად დანახვა და წარმოჩენა, რათა უფრო კომპლექსური, ადეკვატური სურათი შეუქმნას მკითხველს, ხოლო, მეორეს მხრივ, ხაზი გაუსვას მისი, როგორც მეცნიერის ნეიტრალურ პოზიციას. გარდა ამისა, ნაშრომი პოლიტიკური გეოგრაფიული ხასიათისაა და პოლიტიკური პროცესების შეფასების და პრობლემების გადაწყვეტის გზების ფუნქციას პოლიტოლოგებსა და პოლიტიკოსებს უთმობს. საბოლოოდ, ამგვარი მიუკერძოებლობა იმთავითვე ნდობით განაწყობს მკითხველს ავტორისა და მისი ნაამბობის მიმართ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რევაზ გაჩეჩილაძის წერის მანერა. მარტივი და ზედმიწევნით აკურატული ენის წყალობით, ახლო აღმოსავლეთის შესახებ შექმნილი ნაშრომი სცდება ვიწრო-სამეცნიერო ფარგლებს და ფართო მკითხველისათვის მეტად საჭირო და საინტერესო წიგნად იქცევა. წიგნი ერთდროულად აკადემიური, შემეცნებითი და, ამავე დროს, ფართო წრის მკითხველისთვის განკუთვნილი ცნობარია. როგორც ავტორი აღნიშნავს, მისი მიზანია, **"წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გეოგრაფიულ თავისებურებებზე"**. თუმცა, ავტორისეული მოკრძალებით ნათქვამი "წარმოდგენის შექმნა" სინამდვილეში ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ურთულეს პოლიტიკურ პროცესთა განმაპირობებელი ფაქტორების სივრცესა და დროში ანალიზს და სინთეზის მაგალითს წარმოადგენს.

ავტორის მიერ წარმოჩენილი პრობლემათა სპექტრი ფართოა და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ცუდი მმართველობა, რესურსების სიმწირე (წყალი), დემოგრაფიული აფეთქება, უმუშევრობა, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ისრაელ-პალესტინას კონფლიქტი და სხვა. დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიული ფაქტორის გავლენას რეგიონის პოლიტიკურ ევოლუციაზე. ავტორისეული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური პროცესების განსაზღვრას, ერთის მხრივ, ბუნებრივი გარემოსა და რესურსების (ტერიტორია, წყალი), ხოლო, მეორეს მხრივ, სოციალურ-კულტურული გარემოს სხვადასხვა კომპონენტების (დემოგრაფია, რელიგიათა გეოგრაფია, ეთნო-ლინგვისტური თავისებურებები) ანალიზისა და გავლენის ფონზე ახდენს.

